წელიწადი მეორე | ფასი 7 კაპ. | შაბათი, 15 ღვინობისთვე 1916 წ. № 229

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] რდზე პეტიტით ღირს [illegible] კნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

[illegible] ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

[illegible]: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან. **სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი**

ქალაქ ოზურგეთში გარდაიცვალა

ევლინა რაჟდენის ასული

ღუღუნავა

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძმები: ალექსანდრე, სამსონ, დები: ფლორენცია, ნინა, ცეცილია, სიძე გრიგოლ წულუკიძე და ალექსი ბოლქვაძე. პანაშვიდები ყოველ დღე. დაკრძალვა 15 ოქტ.

(2—207—2)

ოზურგეთის ახალ თეატრის სცენის მოყვარენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ძვირფას მსახიობ ქალის

ელენე რაჟდენის ასულის

ღუღუნავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი პარასკევს, 14 ღვინობისთვეს, საღამოს ექვს საათზე განსვენებულის ბინაზე.

(2—208—2)

მეუღლე ოლღა გრიგოლის ასული სამადალოვისა აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს, რომ შაბათს, 15 ღვინობისთვეს, ავლაბარში პეტრე-პავლეს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ

ზაქარია ბესარიონის ძის

სამადალოვის

სულის მოსახსენებლად.

(1—365—1)

ქართული საქველმოქ. საზოგადოება.

კვირას, 16 ოქტომბერს, დილის 11 საათზე,

ახალი კლუბის დარბაზში დანიშნულია ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა

წლიური კრება

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) 1915 წლის ანგარიშის განხილვა,
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება,
3) ინსტრუქციის განხილვა,
4) ხარჯთ-აღრიცხვა 1916 წლისა
5) მიმდინარე საკითხები.

(2—209—1) მთავარი გამგეობა

ექიმი

ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი ღოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე. ერლიხის „914“ და „606“ შეშხაპუნება

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნისა და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან ხნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

მასსაჟს, კანს ქვეშ შეშხაპუნებას და შეხვევას ასრულებს

სპეციალისტი ფერშალი და მასსაჟისტკა ქალი

დღის 3 საათიდამ საღამოს 7 საათამდის. თუმანოვის შესახვევი, № 24.

(თ. 343—19)

საკეთილო საადილო

„ეკონომია“

პუშკინის ბაღის პირდაპირ.

„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ძეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარგათ ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი დიმიტრი უჩ. გიგიბერია და ნ. გ. ქურთაული

(თ. 258—19)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე | ჩაი
სადილები | ყავა
ვახშმები | ხაჭაპური
| პიროჟკები

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხიდ. ხ. გიგიბერია.

ღვინის საწყობი

ნიკო გ. სესიაშვილისა

იყიდება ხელხაურელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი

კახური ღვინო

განოვის ქუჩა № 4.

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.

(185—წ.)

ბალკანეთის დრამა

ბალკანეთის ნახევარი კუნძული ნაყოფიერი და მშვენიერი ქვეყანაა, მაგრამ უბედური ხალხითაა დასახლებული. მონებსა და დამნაშავეებს გზავნიდა ქვემო დუნაის ნაპირებზე დასასახლებლად ძველი რომი, როცა ბალკანეთი მის ახალშენს წარმოადგენდა და ამ პირველ ყოფილ ცოდვის შეჩვენება თითქო დღესაც მხრებზე აწევს იმ თავისებური კოლონისტების ჩამომავალთ. აქვე სცხოვრობდა სამშობლოდან გაქცეული მგოსანი ოვიდიუს ნაზონი და აქედან გზავნიდა სევდიან ელეგიებსა და „პონტის წერილებს“. კლასიკური დროის ყორღები და კოლონები მოწმობენ, რომ ბალკანეთის ტერიტორიაზე მძაფრი, სისხლის მღვრელი ომები წარმოებულა, დანგრეული ქალაქები და სოფლები ნათლად ამტკიცნენ, რომ აქ ყოველი მტკაველი მიწა მეომართა სისხლითაა გაჟღენთილი. ვის არ გაუთელავს ბალკანეთი? ეს ნახევარ კუნძული ერთგვარ ხიდს წარმოადგენდა ევროპასა და აზიას შორის და აღმოსავლეთით თუ დასავლეთით დაძრულს ხალხს ბალკანეთი უნდა გადაელახა უმეტეს შემთხვევაში. სპარსელებმა, ჰუნნებმა, ოსტგოტებმა, სლავიანებმა, ჯვაროსანმა ქრისტიანებმა და მაჰმადიანმა ოსმალებმა ერთი მეორეს მიყოლებით გაინავარდეს ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე და ამ პერიოდულ შემოსევათა კვალი დღესაც აშკარად ატყვია ამ კუთხეს. ბალკანეთი ნამდვილი ეთნოგრაფიული მუზეუმია. ამასთან ერთად ის საუცხოვო ნიმუშია იმ საკითხის საილუსტრაციოდ, თუ რა დიდს უბედურებას წარმოადგენს სხვა და სხვა ტომების მიერ განსაზღვრული ტერიტორიის აჭრელება.

ამ ორიოდე წლის წინათ, როცა დიდი მსოფლიო ომი დაიწყო, ამ ქვეყნად ხუთი ბალკანური და ორი ნახევრად ბალკანური სახელმწიფო არსებობდა. პირველთა რიცხვს ეკუთვნოდა საბერძნეთი, ბულგარეთი, ალბანეთი, სერბია და მთაშავეთი, მეორეთა რიცხვს ოსმალეთი და რუმინია. ამ შვიდი სახელმწიფოდან სამი უკვე წაიშალა ევროპის რუკაზე. ალბანეთი იტალიასა და ავსტრო-უნგრეთს შორის არის განაწილებული, სერბია ავსტრო-უნგრეთსა და ბულგარეთს შორის. პაწია მთაშავეთი ავსტრო-უნგრეთმა გადაყლაპა გაუნაწილებლად. არ შეიძლება ითქვას, რომ დანარჩენთა მდგომარეობა მაინცა და მაინც ბრწყინვალე იყოს. ოსმალეთს თვით ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე ბევრი აღარაფერი დარჩენია დასაკარგავი, განსაკუთრებით წარსული წლის შემოდგომის შემდეგ, როცა თავის პირველ მოკავშირეს, ბულგარეთს, მარიცის მარჯვენა ნაპირი და დედეაგაჩისკენ მიმავალი რკინის გზის შტო დაუთმო, სხვაგან კი მან მოზრდილი და მნიშვნელოვანი ადგილების დაკარგვა მოასწრო: სახელდობ ლაზისტანისა და სომხეთისა, ქალაქ ტრაპიზონისა და აზრუმითურთ. რუმინიას შეიძლება ჯერჯერობით კიდევ მართლაც სერბიისა და მთაშავეთის ბედი არ ემუქრებოდეს, მაგრამ ის კი უცილობელია, რომ მისი უმდიდრესი და უმნიშვნელოვანესი პროვინციის, დობრუჯის, საკითხი მტრის სასარგებლოდაა გადაწყვეტილი ტურტუკაისა, სილისტრიისა, ჩერნოვოდისა და კონსტანცის სიმაგრეების აღებით. ყველაზე უცნაური საბერძნეთის მდგომარეობაა. მას თითქოს არავინ ეომება ფორმალურად; მაგრამ არსებითად მის მიწა-წყალზე სასტიკი ბრძოლა სწარმოებს, მისი სიმაგრეები, ფლოტი და სახელმწიფო დაწესებულებები უცხოელ ჯარების ხელშია და მისი საკუთრების გაყოფაში ერთი მეორეს ეჯიბრებიან დაუპატიჟებელი სტუმრები, რომელნიც თავიანთ თავს ბერძენი ერის მეგობრებათ და მფარველებათ სთვლიან. მხოლოდ ერთად ერთი ბალკანური სახელმწიფო, ბულგარეთი, დღესასწაულობს ჯერ-ჯერობით გამარჯვებას, მაგრამ ეს გამარჯვება ძლიერ წააგავს ცნობილი ისტორიული სარდლის, პიროსის გამარჯვებას: მისი ჯარი საკმაოდ შეიბერტყა უკანასკნელი ოთხი წლის განუწყვეტელი ომების წყალობით და მისი მომავალი ჯერ კიდევ ბეწვზე ჰკიდია, ან უკეთ ვსთქვათ გენერალ სარაილისა და გენერალ ავერესკოს მახვილზე.

არსებობს ერთი არაკი, დაუნდობელ ვირთხებზე, რომელთაც ერთმანეთი შესჭამეს, ისე რომ ბოლოს არაფერი დარჩა გარდა კუდებისა. ბალკანეთის დღევანდელი დრამა ამ არაკს მოგვაგონებს. ამ ოთხიოდე წლის წინად, როცა ბალკანეთის კავშირი შესდგა და პირველი ბალკანური ომი დაიწყო, დასავლეთი ევროპა სახტად დარჩა ამ პატარა სახელმწიფოების დიპლომატიური ტაქტისა და სამხედრო მომზადების წინაშე. საერთო აზრი ის იყო, რომ ბალკანეთის ერები მომწიფებულან დამოუკიდებელი, თავისუფალი არსებობისთვის და მათ აღარ სჭირდებათ მეთვალყურე და გამდელი. მაგრამ მეორე ბალკანეთის ომმა ჩქარა გამოაშკარავა, რომ ამ ოდნავ გაშალაშინებული გარეგნობის მიუხედავად არსებითად ნაკლებ შეცვლილა მოხეტიალე ჰუნებისა, ველური გოტებისა და ინტრიგანი ელლინების მემკვიდრეების ბუნება. ძნელი წარმოსადგენია მეტი ვერაგობისა, სისასტიკისა და დაუნდობლობის გამოჩენა, ვიდრე მაშინ ბალკანელმა ერებმა გამოიჩინეს. საბერძნეთმა და სერბიამ წინასწარ დადებული ხელშეკრულობა დაარღვიეს და ბულგარელებით დასახლებული მაკედონია ურთიერთ შორის გაინაწილეს. რუმინიამ და ოსმალეთმა უკანიდან მახვილი ჩასცეს ბულგარეთს და მოზრდილი ნაჭერი ჩამოათალეს. შემდეგ საერთაშორისო საგანგებო კომისიამ გამოარკვია, რომ მოწინააღმდეგენი აუწერელი სისასტიკით ეპყრობოდენ ტყვეებს: თვალებს სთხრიდნენ, ცხვირს სჭრიდნენ, სახეს უმახინჯებდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ ბოროტმა თესლმა უხვი სამკალი გამოიღო ბალკანეთში. როცა თანამედროვე ევროპიული ომი დაიწყო, ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებმა სერბიას წინადადება მისცეს ბულგარეთს მორიგებოდა და მაკედონია დაეთმო. ამ წინადადებაზე მინისტრ პრეზიდენტმა პაშიჩმა ცივი უარი განაცხადა: ბულგარეთთან მორიგებას ავსტროუნგრეთთან მორიგება გვირჩევნიაო. ასევე ეწინააღმდეგებოდა ბულგარეთისა და სერბიის შეთანხმებას ამ უკანასკნელის მაშინდელი მოკავშირე საბერძნეთი, რომელიც სოფიის ჰეგემონიისა და სალონიკის დაკარგვას უფრთხოდა. დღეს მაკედონიაც მტრის ლაშქარს უჭირავს და ძველი სერბიის ტერიტორიაც. სალონიკში კი ბევრი ვინმე შედის და გამოდის გარდა ათინის მთავრობის წარმომადგენლებისა. მაგრამ ტრაგედიის სამწუხარო დასასრული ის იქნება თუ მაკენზენისა და ფალკენჰაინის არმიამ მართლაც რუმინიის ტერიტორია დაიჭირა და ბალკანეთის ნახევარი კუნძული გარეშე ქვეყანას მოსწყვიტა. ეს დიდი უბედურება იქნებოდა როგორც თვით ბალკანეთისა, ისე ოთხთა შეთანხმებისთვისაც; არა მარტო სტრატეგიული თვალსაზრისით, არამედ ზნეობრივი და ეკონომიური მხრითაც. ცნობილია, რომ ანტიგერმანულ კოალიციას დროშაზე პატარა ერების თავისუფლება უწერია. ეს წარწერა დეკორატიულ სამკაულად დარჩება თუ ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებმა თავისი უმცროსი მოკავშირეებიც კი ვერ გადაარჩინეს გერმანელ ურდოების შემოსევას. ამას გარდა რუმინიის ტერიტორია უნოყიერეს ნიადაგს წარმოადგენს დედამიწის ზურგზე, მისი დედამიწის გული კი ნავთითა და ლითონის მადნებითაა მდიდარი. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გერმანიას სანახევროდ რუმინია ჰკვებდა ხორბლითა და ხორცეულით. 1914 წელს რუმინიამ თავის დღევანდელ მტერს თითქმის 50 მილიონი ფუთი პური გაუგზავნა, 1915 წელს თითქმის 55 მილიონი; მიმდინარე წლის აპრილში კი რეკორდი იქმნა მიღწეული: გაიგზავნა 60 მილიონი ფუთი ხორბალი და 250 მილიონი ფ. სიმინდი, ამას გარდა დიდძალი ქვავი, შვრია, ქერი, საკლავი საქონელი და საჯდომი ცხენი. მართალია ეს სურსათი და საქონელი დიდს ფასებში გაიყიდა და რუმინელებმა უზომო სიმდიდრე შეიძინეს ფულად, მაგრამ ხვალ სანუგეშოდ რაღა დარჩებათ თუ მათივე პურით გამძღარმა გერმანელებმა მათივე გაგზავნილ ცხენებს ვალახიისა და დობრუჯის მინდვრები გადაათელინეს, სურსათში მიცემული ოქრო კი უკანვე დაიბრუნეს უსამართლო კონტრიბუციისა და ექსპლუატაციის შემწეობით. გერმანელი ურდოებისაგან ასეთი ქცევა ადვილი მოსალოდნელია.

ვ. ღლიანი.

კონსტანცის დატოვება

13 ღვინობისთვე.

(პეტ. დეპ. ს.)

ოდესა. კონსტანციდან საფრანგეთის, ინგლისის და რუსეთის კონსულები ოდესაში მოვიდნენ. ქალაქი ცეცხლის ალში ყოფილა გახვეული და ისინი ყველაზე ბოლოს გამოსცლიან. ამავე დროს ოდესაში მოვიდნენ კონსტანცის ნავთსადგურის გემების აგენტები, მუშების არტელი, რუსების რაზმი და რუმინელ აფიცერთა ჯგუფი. კონსტანციდან გამოქცეულებიც მოვიდნენ. მათის გადმოცემით, კონსტანცი სრულის წესიერებით დასცალეს. ყველა ბრძანება ზედმიწევნით სრულდებოდა. უკანასკნელ დღეებში მშვიდობიანი მცხოვრებნი დიდად გასტანჯა 4 ღვინობისთვიდან დღემუდამ გერმანელ-ბულგარელ მფრინავების თავდასხმამ. მათი რიცხვი დღითი-დღე იზრდებოდა. 7 ღვინობისთვეს ქალაქს თანაბრად ყველგან ყუმბარებს უშენდა 15 საფრენი. ამ დღეს ყუმბარებით დაინგრა კაზინოს შენობა, სადაც რუმინელთა წითელი ჯვრის ლაზარეთი იყო მოთავსებული. მოჰკლეს 15 დაჭრილი ავადმყოფი აფიცერი და ჯარისკაცი. ამის მერე ქალაქს ზარბაზნები დაუშინეს. ქალაქის გარეუბნებში ზარბაზნის ყუმბარები 6 ღვინობისთვეს სცვიოდა. მეორე დღეს ყუმბარები უკვე ქალაქის შუაგულში ეცემოდა. 8 ღვინობისთვეს ქალაქიდან გასვლის საშუალება მისცეს ყველას, ვისაც გარიდება უნდოდა. ამავე დროს მთავრობა მატარებლებით, გემებით თუ ნავტიკებით ქალაქიდან ეზიდებოდა სურსათ-სანოვაგეს, ამის შემდეგ ქალაქიდან ჯარიც დაიძრა. მიმავალ ჯარს დიდად ეხმარებოდა გემების არტილერია, რომელიც მარჯვე სროლით მტრის რაზმებისაგან იფარავდა ქალაქის მისავალ გზებს და დიდ ზარალსაც აყენებდა მტერს. 9 ღვინობისთვეს, დილით, მტრის მოწინავე რაზმები კონსტანცს უკვე 8 ვერსზე მიუახლოვდნენ. მტრის საფრენები აღარსად სჩანდნენ, ალბად წვიმიან და მოღუშულ ამინდის გამო. უკანასკნელი მატარებელი მტრის ზარბაზნების ნასროლ ქარცეცხლში გამოვიდა ჩერნავოდის მიმართულებით. მტერმა ზარბაზნები მყის ნავთსადგურისაკენ მიმართა. ალბად იქ გემები ეგულებოდა და მათი დაზიანება სწადდა. გემები არ დაზიანებულა. ჩვენი სახელოვანი მეზღვაურებმა, აშკარა განსაცდელის მიუხედავად, ყოველისფერი საქმე შეასრულეს, ვიდრე ნავთსადგურს დასტოვებდნენ. მეზღვაურებმა ზღვის ნაპირებზე ცეცხლი მისცეს ელევატორებს, ხორბლეულის, ფქვილის, ნავთის და ბენზინის საწყობებს. როდესაც ნავთსადგური მთლად ცეცხლის ალში იყო და ყველაფერი გადაიბუგა, ჩვენი არტილერია მაშინ დაიძრა ნავთსადგურიდან სრულის წესიერებით. მტერი კონსტანცში 9 ღვინობისთვეს საღამოთი შესულა.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

მდგომარეობა რუმინეთის ბრძოლის ველზე არსებითად არ შეცვლილა. დობრუჯაში მაკენზენის შეტევა, როგორც გუშინდელი ოფიციალი დეპეშა გვამცნობს, ოდნავ შესუსტდა ეს გარემოება გამოწვეული იქნება მხოლოდ მითი, რომ არტილერია ასე ადვილად ვერ მიჰყვება ქვეითა ჯარს, მერე ისიც მთაგორიან დობრუჯაში. ასევე შეიძლება ითქვას ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზზე, სადაც შეტევას განაგრძობს მეორე გენერალი ფალკენჰაინი. გაჩერება ახლა პირდაპირ უაზრობა იქნებოდა გერმანელების მხრივ; ცხადია, მალე ისევე ორივე მხრიდან შეუტევენ და შეეცდებიან ასე თუ ისე გადასწყვიტონ რუმინეთის საკითხი. მით უმეტეს ფრანგები აღარ ხუმრობენ და მათს იერიშებს უკვე სერიოზული ხასიათი აქვს. არა გვგონია დანამდვილებით ფრანგებს სწორედ ვერდენით რაიმე განზრახვა ჰქონდეთ. უფრო ადგილობრივ ბრძოლასთან უნდა გვქონდეს საქმე, ან და ფართო დემონსტრაციასთან, რომლის შემდეგ შეიძლება სხვაგან მოჰყვეს საერთო შეტევა. ვერდენით სვლა იმის შემდეგ, რაც მრავალი სიმაგრეები გერმანელებმა იგდეს ხელში, საშინელ დიდს მსხვერპლს მოითხოვს, თუმცა სტრატეგიული მოსაზრებით ძალიანაც ხელსაყრელიცაა.

აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე ზოლოჩეკის მიმართულებით გერმანელების მცირე რაზმს უშედეგო იერიში მოუტანია. რაც შეეხება დანარჩენ მიდამოების მდგომარეობა უცვლელია.

X.

ომის დეპეშები

14 ღვინობისთვე.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. ზოლოჩუკის მიმართულებით, ზვიჟენის მიდამოებში, მოპირდაპირე პატარ-პატარა რაზმებით გვიტევდა, მაგრამ მოვიგერიეთ. ტყიან კარპატებში კაპულის მთის ჩრდილო-დასავლეთით, რვა ვერსის მოშორებით, მოპირდაპირემ ორი როტით იერიში მოიტანა, მაგრამ სროლით შევაჩერეთ.

კავკასიის ასპარეზი. სპარსეთში, მედგარი ბრძოლის შემდეგ, ჩვენმა ჯარმა აიღო ქალაქი ვიჯარი, ქ. ქამადანის ჩრდილო-დასავლეთით. ხელთ იგდო ტყვეები და 2 ზარბაზანი.

რუმინეთის ასპარეზი. ჩრდილო-აღმოსავლეთის ბრძოლის ხაზზე რუმინელებმა შესძლეს გაცილებით ძლიერი მტრის ჯარის შეჩერება.

დობრუჯაში მოპირდაპირის შემოტევა ცოტა დასცხრა.

ბუქარესტი. რუმინეთის ოფიციალი ცნობა 11 ღვინობისთვისა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზი. ტოლდშენსა, ბაკაზსა და ტროტუსის ველში ცვლილება არ მომხდარა. უზულის ველში ცხარე ბრძოლა გრძელდება. ოიტუზში მთელი ბრძოლის ხაზზე იერიში მივიტანეთ, ხელთ ვიგდეთ 10 აფიცერი, 302 ჯარის კაცი და 10 ტყვიის მფრქვეველი. ბარენჩში პატარ-პატარა შეჯახების დროს 10 ტყვიისმფრქვეველი დავლად წამოვიღეთ. ბუზეოს ველში ზარბაზნების სროლაა. პრედეალში მტერმა სამჯერ მოიტანა იერიში. ბრძოლა გრძელდება. ამ მიდამოების ჩრდილოეთის ნაპირში, დრაგოსლაველეს მიდამოებში, მოპირდაპირე ძლიერის იერიშით წამოვიდა. ჩვენი ჯარი თავის ადგილზე მაგრობს. ალიუტის სამხრეთით მოპირდაპირეს ალიუტის მარცხენა მხარეს დავახევინეთ. ჟიუში ძლიერი სროლა აგვიტეხა მოპირდაპირემ ზარბაზნებით და ცოტა წინ წამოიწია. ორშოვში მტრის იერიში მოვიგერიეთ სამხრეთის ბრძოლის ხაზზე. დუნაიზე ორივე მხრივ სროლა იყო. ჩვენი მარცხენა ფრთა იძულებული იყო უკან დახეულიყო. კონსტანცა მტერმა აიღო.

პარიზი. სალ. ოფიც. ცნობა. ვერდენის ჩრდილოეთით მოპირდაპირემ სამჯერ შემოგვიტია ოდრემონ-დიუმონის მიდამოში, მაგრამ უნაყოფოდ. ჩვენი ბრძოლის ხაზი შეურყეველი დარჩა. ფიუმენის ტყის აღმოსავლეთით და შენუას ჩრდილოეთით ჩვენ წინ მივიწევთ. დაუჭრელ ტყვეთა რიცხვი 4500 უდრის.

10—11 ღვინობისთვეს ინგლისის გამანადგურებელმა საფრენებმა ხაგინდაუში კილოგრამი 40 ფუთზე მეტი ასაფეთქებელი მასალა ჩამოჰყარეს და ბევრგან ცეცხლი გაუჩინეს.

ათინა. ათინის სააგენტო იტყობინება. მდგომარეობა არ შეცვლილა. თესალონიიდან ჯარის გადაყვანას დიდი დაბრკოლებანი ელობება, თუმცა ორივე მხარე ერიდება საქმის გართულებას და შეიძლება საქმე კეთილად მოგვარდეს. საფრანგეთის დესპანი გილმენი მეფემ სადარბაზოდ მიიღო. გილმენის განცხადებით, საქმე მოგვარდება, რადგანაც საბერძნეთის მეფემ გულწრფელად გაუზიარა თავისი ზრახვანი და კეთილგანწყობილ ნეიტრალობაში დაარწმუნა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში ლლოიდ ჯორჯმა შეკითხვაზე უპასუხა: ოფიციალ ცნობებში მოხსენებულია რომ, კონსტანცის დატოვება აუცილებელი იყო. ჩვენ და ჩვენი მოკავშირენი ყოველ ღონისძიებას ვხმარობთ რუმინეთს დავეხმაროთ, მაგრამ ჯერ ვერ გავამხელ საამისოდ მიღებულ ზომებს“.

პარიზი. საბერძნეთის დროებითმა მთავრობამ საფრანგეთში მყოფ ბერძნებს მოწოდებით მიჰმართა, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლიანთ, პარიზში არსებულ ბიუროში ჩაეწერეთო.

სტოკჰოლმი. ბერლინში მყოფმა შვეციის მიწადმოქმედების აგენტმა შვეციის სამინისტროს შეუთვალა— შვეცია-გერმანეთის შორის არსებული ხელშეკრულობა გააბათილეთ და 1916 წლის დამლევამდე განაახლეთ მოლაპარაკება ახლახან გერმანეთ-შვეციის შორის დადებულ სავაჭრო ხელშეკრულობის მოსაწესრიგებლადაო.

ბაზელი. სტამბოლში 28 ენკენისთვეს ახალგაზდა ოსმალთა „ერთობისა და პროგრესის“ პარტიის კონგრესი მოხდა. თავმჯდომარედ დიდი ვეზირი აირჩიეს, მის ამხანაგად შინაგან საქმეთა მინისტრი თაალად-ბეი და მიხტაად-შუქრი. კონგრესმა საჭიროდ სცნო განათლების გასაფართოებლად აურაცხელ გერმანელ პროფესორების მოწვევა ოსმალეთის სასწავლებლებში; აგრეთვე გერმანელ მოთათბირეთა მოწვევა იუსტიციისა და სხვა სამინისტროებში; შეიხ-ულ ისლამის უფლებები უნდა განისაზღვროს მხოლოდ სასულიერო საქმეებით. შარიატის სასამართლო იუსტიციის სამინისტროს დაექვემდებაროს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუმინეთი.

ქ. შუმსკი სწერს: რამდენჯერმე აღგვინიშნავს, რომ რუმინეთის ასპარეზზე მოგერიებითი ბრძოლა მუდამ მარცხით გათავდება. ბრძოლის ხაზი მეტად გრძელია, 600 ვერსზეა გაჭიმული და ასეთ დიდ მანძილზე მომგერიებელი იმდენად ძლიერი ვერ იქნება, რომ მოპირდაპირის მიერ ნიშანში ამოღებულ ადგილზე იერიშები მოიგერიოს. შემომტევს კი შეუძლიან მოპირდაპირის თვალის ასახვევად სხვა ადგილებში შეტევა აწარმოვოს, ხოლო ერთ-ერთ ადგილზე ძლიერი ჯარი მიაჯგუფოს და მედგარი იერიშები დაიწყოს. ჩრდილოეთ რუმინეთის ასპარეზზე ბრძოლა სწარმოებს თითქმის ყველა უმთავრეს გზებზე, თუმცა უფრო ცხარე ბრძოლაა ოიტოსის ხეობაში, საიდანაც ყველაზე უფრო მოკლე გზა მიდის დობრუჯისაკენ (160—170 ვერსამდე იქნება). აქ კვირაზე მეტია რაც მტერი მედგარის თავგამოდებით უტევს. ფალკენჰაინის მოქმედების ღერძად ეს ადგილია. რა თქმა უნდა შეიძლება მალე სხვა ადგილას გაჩაღდეს უფრო მნიშვნელოვანი შეტევაც.

გაზ. „კავკაზ“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: დობრუჯაში მომქმედი ჩვენი და რუმინელების ჯარი ნაკლებ არის დაინტერესებული ზღვის პირიდან მომავალ კონსტანცა-მეჯიდიე-ჩერნოვოდის ლიანდაგის რკინის გზით. ამ ხაზის დაკარგვა სტრატეგიულ მდგომარეობაზე ნაკლებს გავლენას იქონიებს, რადგანაც ჯარისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგე დუნაიზე გადააქვთ. სულ სხვაა ჩერნოვოდთან დუნაიზე გადასასვლელი ფონის ხელიდან წასვლა. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ დუნაიზე ჩერნოვოდიდან გადადებული ხიდი, რა თქმა უნდა, ჩანგრეულია. დუნაიში გასვლა კი მეტად ძნელი საქმეა. ამისათვის საჭიროა, რომ მაკენზენმა გაჰბედოს ჩერნოვოდთან ფონში გასვლა.

კონსტანცა-ჩერნოვოდის გზის დატოვება გონიერულ მოსაზრების შედეგია და არა დამარცხებისა. მართალია დობრუჯაში დაწყებული სამხედრო მოქმედება ჩვენთვის მარჯვედ ვერ წავიდა, მაგრამ არსებითი მნიშვნელობა არა აქვს მტრის ხელში რამდენიმე ადგილის გადასვლას, თუ კი ცოცხალი ძალა გადარჩენილი და ბრძოლის უნარ შენარჩუნებულია. დობრუჯაში ჩვენ კიდევ შეგვიძლიან მაშველი ჯარების მიწოდება, მოპირდაპირე კი ამ მხრივ ვერსაიდან ვერ მაიღებს მას.

დობრუჯი.

მდ. დუნაისა და შავზღვის შუა გადაჭიმული ადგილი, რომლისკენაც დღეს მთელი ქვეყნის გულის ყურია მიქცეული დობრუჯად იწოდება. დობრუჯი ორ ნაწილად იყოფა: ჩრდილოეთის ნაწილს ჰქვიან ძველი დობრუჯა. იგი იწყობა დუნაის ნაპირებიდან, სადაც დუნაი რუსეთის მიჯნას ჩაუდის და რუმინეთ-ბულგარეთის საზღვრებზე აწყდება. მისი სამხრეთი ნაწილი კი იწოდება ახალ დობრუჯად. მას კვადმალტერასაც უწოდებენ. ეს ახალი დობრუჯი 1913 წლამდე ბულგარეთისა იყო, ხოლო მაშინ, ბუქარესტის ხელშეკრულობით რუმინეთმა დაისაკუთრა. სწორეთ ამ ახალ დობრუჯში მოქმედობს ეხლა მაკენზენის ჯარი, ბულგარელ-ოსმალო-გერმანელებისაგან შემდგარი. სერბეთ-რუს-რუმინელთა ჯარი ემყარებოდა კონსტანცა-მეჯიდიე-ჩერნოვოდის რკინის გზის ლიანდაგს. ჩერნოვოდთან მდ. დუნაიზე გადებული ხიდი ამ გზას აერთებს ბუქარესტსა, ბანგსა და გილოჟესთან. (ეს ხიდი აფეთქებულია მას მერე, რაც მაკენზენის ჯარმა დაიპყრო კონსტანცა-მეჯიდიე-ჩერნოვოდის რკინის გზა).

მოპირდაპირის ბრძოლის ხაზის ზურგით რუმინელების ხელშია რკინის გზის ლიანდაგი, რომელიც ყარა-ომერს აერთებს დობრიჩთან, ხოლო დობრიჩიდან ობორიშჩეს და დევნიუს გზით უერთდება ვარნას, ხოლო მეორე გზით კი რუშჩუკსა და შუმლას.

რაწამს ბულგარელებმა ამ ომის დროს ახალი დობრუჯი დაიპყრეს, გერმანელ ინჟენერების ხელმძღვანელობით გაუყვანიათ ახალი რკინის გზები, რომელიც აერთებს ვარნას შავი ზღვის პირად მდებარე ნავთსადგურ ბალჩიკთან და რუშჩუკს—რაზგრადის გადასერვით ტურტუკაისთან. ამ მიდამოებს ბულგარელები ძლიერად ამაგრებენ, ახალ სიმაგრეებს აგებენ, იხალ მძიმე ზარბაზნებს სდგამენ. ალბად განზრახვა აქვთ ამ ადგილებში დუნაი გადალახონ. ბულგარელები ასეთსავე სიმაგრეებს აგებენ რუმინების მიტოვებულ სილისტრიაში. ყარა-ომერის და მანგალიის მიდამოები კი მთლად დაცალიერებულია, მცხოვრებნი მთლად გახიზნულან აქედან.

ძველად ეს ვიწრო მიდამოები, რომელიც შავ ზღვასა და დუნაის შუაა მოქცეული, რომის ბატონობის უღელქვეშ იყო. მის ჩრდილოეთით ბინადრობდნენ სლავიანი - ტიბერიელნი, რომელნიც გადაშენდნენ და ეხლანდელ რუმინელებში გაითქვიფნენ. დობრუჯში რომის უმდიდრესი ახალშენი ყოფილა. აქ ეხლანდელ ვარნას ადგილას გაშენებული იყო, თურმე ქალაქი ოდესუსი. აქედან მოკიდებული ახალშენები დევნეს ტბამდე იყო გადაჭიმული. აქვე არის ცნობილი „ტროიანეს სვეტი“.

დობრუჯში შეხვდებით უძველეს ნაშთებს რომაელებისას, ბერძნებისას და ოსმალებისას. აუარებელი ოსმალთა სოფლები, მათი საუცხოვო მეჩეთები ადასტურებენ ოსმალების ბატონობას ამ კუთხეში. ურიცხვი მარმარილოს აუზები ყველა საუცხოვო გზების პირად ჰმოწმობენ აქ მობინადრე მაჰმადიანთა ღვთის მოსავეობას. ჩატამჩებში, გორაზე ეხლაც მოსჩანს მეჩეთის ნანგრევები, რომლის მაღალი მინარა (კოშკი) ეხლაც ამართულია. გადმოცემაა დარჩენილი, ამ ადგილას ასაფლავია პოლონეთის მეფე ვლადისლავი, რომელსაც ოსმალებმა თავი მოჰკვეთეს, როდესაც 416 წელს შეეცადა პოლონეთის სამფლობელოსაკენ მიმავალი ოსმალთა ლაშქარი შეეჩერებინა.

დობრუჯში კიდევ შეჰხვდებით მოხუცებსაც, რომელთაც კარგად ახსოვთ 1856 წლის ყირიმის ომი, ბრძოლა წმ. კონსტანტინის უძველეს მონასტერთან, ოსმალეთის სიმაგრე ვარნასთან და სხვა. კარგად ახსოვთ საშინელი განცდანი 1877 წლის ომისა, როდესაც რუსის ჯარი ბულგარეთის დასახსნელად ოსმალეთს ებრძოდა.

ეხლა კი, 36 წლის მერე, ამ მიდამოებში კვლავ გრგვინავს ზარბაზნები. თავზარდაცემული მცხოვრებნი უგზოუკვლოდ გარბიან. (ბ. ვ.).

უკანასკნელი ცნობები

დორნა ვატრის რაიონში რუსების მიერ დაჭერილ ავსტრიელთა თხრილებს სამი კაცის სიმაღლის სიღრმე ჰქონია, მაგარი კარებით. სალდათები შეჰყავდათ და მერე კარებს უკეტავდნენ.

დვინსკის ფრონტზე წყალდიდობა გრძელდება, რაიც ოპერაციებს აფერხებს.

ავსტრიელებმა გაგზავნეს 80 ათასი მაჰმადიანი თურქთა არმიის შესავსებათ. ესენი გაიწვიეს ბოსნიასა და გერცოგოვინაში.

გერმანელთა წყალქვეშათა ოპერაციები კვლავ გაძლიერდა. კანცლერი ბეტმან-ჰოლვეგი მზად არის მიიღოს მეთოდი ადმირალ ტირპიცისა.

ბერლინიდან მოსულ ცნობებით რუმინელებმა ბოლო დროს საგრძნობელი დახმარება მიიღეს მოკავშირეებისაგან.

როგორც პარიზში ცნობა მიუღიათ ვენიზელოსს გაუგზავნია სოფიაში ულტიმატუმი საბერძნეთის სახელით.

მდინარე სროუსასა, ოიგუზას და სლანიკის მიდამოებში რუმინელებმა მტერზე იერიში მიიტანეს, რასაც შედეგად მოწინააღმდეგის უკან დახევა მოჰყვა.

ხანგრძლივის და გააფთრებულის მოწინააღმდეგის იერიშებისგან რუსის და რუმინეთის ჯარი უკან იხევს და თან სასტიკ წინააღმდეგობას უწევს.

მინისტრთა საბჭოს გადაუწყვეტია ქალაქის კავშირის კავკასიის მთავარ კომიტეტს ავანსად მიწცეს 10.418.984 მან., თავისი მოქმედების გასაგრძელებლად, ხოლო 15.836.961 მან. დაჭრილ და ავადმყოფ ჯარისკაცთა დასახმარებლად.

ბულგარელები გენადიევს ბრალს სდებენ, ვითომც მას მოკავშირეებისაგან 22 მილიონი მიეღოს საბერძნეთში რევოლიუციის მოსაწყობად.

სამხედრო პირნი აღნიშნავენ- გერმანელების, ბულგარელების და ავსტრიელების ბუქარესტისკენ მიმავალ ჯარს წინ დიდი დაბრკოლება ჰხვდება. ფალკენჰაიმი ხცდილობს სიგრძით 30 ვერსიან ფრონტზე გაიშალოს პრედეალ-კიმპულუნგის მიდამოებში. ეს ადგილი ბუქარესტიდან 100 ვერსით არის დაშორებული. მაკენზენი თუ წინ წაწევას მოინდომებს, დიდი დაბრკოლების დაძლევა მოუხდება. ფალკენჰაიმის იერიში აუჩქარებლად სწარმოებს. მოწინააღმდეგემ კიმპლუნგის და პრედეალის დაჭერით რუმინეთში 30 ვერსით შეიჭრა.

სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დღეები*)

(ისტორიული ამბავი)

(დასასრული)

მეორე დღეს კოლიუბაკინი ხოპის მონასტერში მივიდა. დედოფალი მეტად ნაწყენი დარჩა ქუთაისის გუბერნატორის ქცევით, მან მიქავას ნახვა მოისურვა. კოლიუბაკინმა მიქავას დაუძახა და დედოფლის წინ დააჩოქა.

—მიქავა, შენ, როგორც არჩეული პირი გლეხებისაგან, რატომ პირდაპირ ჩემთან არ მოდი და არ ამიხსენი ყოველი საჭიროება და გაჭირვება გლეხობისა, ჩემთან შემოსვლა ყველას თავისუფლად შეეძლო, მე კი არაფერი არ ვიცოდი,—უთხრა დედოფალმა.

— მე მისთვის არ მოვედი, დედოფალო თქვენთან,—მიუგო მიქავამ,—რომ თქვენ არ შეგიძლიათ ჩვენ მოგვეხმაროთ. აი აგერ გორას ქვეშ ცხოვრობს ერთი საწყალი გლეხი, ერთი საათით წინად მას ჰყავდა ძროხა, რომელიც ერთათ ერთი მისი სიმდიდრე იყო, ეხლა კი აღარა ჰყავს. ის ძროხა დაჰკლა თქვენმა ამალამ, რომელიც თქვენ მოგყვათ მონასტერში, იმ ძროხისაგან აგერ მწვადებსა სწვავენ. რისთვის უნდა მოვიდე თქვენთან და გიამბოთ თქვენ გაჭირვება ისეთივე ღარიბ-ღატაკებისა, როგორიც არის ის გლეხი“.

რამდენიმე დღის შემდეგ სამეგრელოში გაჩნდა რუსის ქვეითა ჯარი. მათ აქ თითქმის არაფერი საქმე აღარ გამოუჩნდათ გასაკეთებელი.

პატარ-პატარა ყაზახ-რუსთა რაზმები იყო საკმაო მეამბოხეთა წინააღმდეგ. ყაზახები სადაც კი გაჩნდებოდნენ, მეამბოხენი იარაღს ჰყრიდნენ და წინააღმდეგობას არ უწევდნენ. პირველივე ბრძანების შემდეგ რაზმები იშლებოდნენ. ერთი სიტყვით, მეამბოხენი ისე იქცეოდენ, რომ არ აძლევდენ ნებას და მიზეზს კოლიუბაკინს, რომ მათ წინააღმდეგ იარაღი ეხმარა და ან ეგზეკუცია ჩაეყენებინა სოფლებში. დედოფალი კი აღელვებული იყო კოლიუბაკინის მოქმედებით და საჩივრებს გზავნიდა მასზედ. „მის მაგიერ, რომ ჩააქროს მღელვარება, ის მიზეზების კვლევა-ძიებაშია;—მის მაგიერ, რომ დამნაშავენი დასაჯოს,—ის მათ ჰკოცნის,—სჩიოდა დედოფალი.“

— „მე არ შემიძლია იარაღი ვიხმარო იმ ხალხზედ, რომელიც მუხლმოდრეკილი დგას ჩემ წინაშე,—უპასუხებდა კოლიუბაკინი“.

ამ საჩივრების გამო კოლიუბაკინი დაიბარეს სამეგრელოდან და რაღაც საქმეების შესახებ მარსელში გაგზავნეს.

სამეგრელოს საქმეების მოსაწესრიგებლად დაინიშნა მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი დიუკრუასი. მასა და თავ. გაგარინს ებრძანათ დაეტყვევებინათ მეამბოხეთა მეთაურები. ამათაც დაატყვევეს მჭედელი მიქავა, თოდუა და კიდევ 26 კაცი. ცოტა ხნის შემდეგ ყველანი ისევ გაანთავისუფლეს.—საჭიროთ ვსცანი განმეთავისუფლებინა ყველანი, რადგანაც ეგენი, როგორც ჭკვიანი ხალხი, ჩვენ უფრო გამოგვადგება ხალხის დაწყნარების საქმეშიო,—სწერდა გაგარინი. ხალხის შესაშინებლად როზგიც შემოიღეს. ყველა ბრბოში დაიჭერდნენ ათში ერთსა და 25 როზგამდე ურტყამდენ, მაგრამ არც ამან უშველა საქმეს. გაროზგილები ხმის ამოუღებლად ისევ მიდიოდენ და ბრბოებად იკრიბებოდენ. საქმეს ცხადად ეტყობოდა, რომ მეამბოხენი მზად იყვნენ დამორჩილებოდენ ყოველივე რუსის მოხელეების მოთხოვნილებებს და სამეგრელოს მთავრობას კი არ ემორჩილებოდენ. ისიც სჩანდა, რომ ჩუმად მეამბოხეთა მეთაურებათ დიდ-ძალი თავად-აზნაურობაც იყო. ამისათვის საქართველოს მთავარმართებელმა თავ. ბარიატინსკიმ 20 ივლისს უმაღლესად ითხოვა, რათა სამეგრელოსათვის ახალი მართველობა შემოეღოთ. მან კიდევაც უბრძანა სტატსკი სოვეტნიკს დიუკრუასის, შეედგინა ახალი პროექტი სამეგრელოს საქმეების მოსაწესრიგებლად.

პირველ აგვისტოს მთავარმართებელმა ბარიატინსკიმ ფლიგელ ადიუტანტის ჩერტკოვის ხელით წიგნი გაუგზავნა დედოფალს და აგრეთვე 1000 ცალი პროკლამაციისა. წიგნში ბარიატინსკი ურჩევდა დედოფალს უარი ეთქვა სამეგრელოს მართველობაზე. პროკლამაციაში ის უცხადებდა სამეგრელოს ხალხს, რომ სამეგრელო რუსეთის მართველობაში გადადის, მინემ მთავარი ნიკოლოზი მცირე წლოვანიაო.

ბარიატინსკის წიგნმა დედოფალი ძალიან ცუდ გუნებაზე დააყენა. სამეგრელოს მართველობაზე ხელის აღება თავის ნებით მას ფიქრადაც არ მოსდიოდა.

მთავრობამ ხერხს მიმართა. 1857 წელს 7 ენკენისთვეს უმაღლესი რესკრიპტით ის პეტროგრადს გაიწვიეს, სადაც უნდა გადასახლებულიყო, რათა უფრო კარგად აღეზარდა თავისი შვილები. დედოფალს რაღა დარჩენოდა, 25 ოქტომბერს მან ბარგი აიკრა და პეტროგრადს გაემგზავრა.1)

რუსის მთავრობამ საბოლოოდ გადასწყვიტა სამეგრელოს ავტონომიის მოსპობა, ხოლო მშვიდობიანის გზით უნდოდა ეს მოეხდინა. 4 იანვარს 1867 წელს სამეგრელოს მთავარი თავ. ნიკო დადიანი სრული წლოვანი ხდებოდა. ხელმწიფე იმპერატორმა ინება მოლაპარაკებოდენ თავ. ნიკოს, რომ თავის ნებით უარი ეთქვა მთავრობაზე. ამ საქმის მოწესრიგება მიენდო კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს თავ. გაგარინს.

რუსის მთავრობამ ასე გადასწყვიტა ამ საქმის მოწესრიგება: თავ. ნიკოს უნდა მისცემოდა 50.000 მანეთი წლიურად. გარდა ამისა მას ნება ეძლეოდა აგრეთვე ესარგებლა მამულების შემოსავლით. თუ ვინიცობა არის და თავ. ნიკო მოინდომებდა შიდა რუსეთში სადმე მამულის სყიდვას, მისცემოდა მას ამისათვის ხაზინიდან ერთი მილიონი მანეთი, ხხოლოდ ეს მამული უნდა ყოფილიყო სამაიორატო. კერძო მამულები სამეგრელოში უნდა შეესყიდა რუსეთს იმ ფასებში, როგორც მოურიგდებოდა თავ. ნიკო. ამ შესყიდული მამულების ფულებით ნიკოს უნდა უზრუნველ ეყო დედა და თავისი დები და ძმები. გარდა ამისა დედას უნდა მისცემოდა რამდენიმე ნაწილი იმ პენსიისა—(30.000 მანეთიდან), რომელიც უკვე ჰქონდა 1857 წლიდან მას დანიშნული. დაწესდესო, რომ მთავარსა და ყველა მის ჩამომავალს დარჩეს ტიტული „უგანათლებულესისა“ და ეწოდოთ „დადიანი—მინგრელსკი“.

მთავარ მართებელს ბარიატინსკის შიში ჰქონდა, რომ სამეგრელოს სამთავროს მოსპობა არეულობას გამოიწვევდა, მაგრამ მისი შიში უსაფუძვლო გამოდგა. თავ. ნიკომ მტკიცეთა და გულწრფელად უარი განაცხადა სამეგრელოს მთავრობაზე.

ერთი მილიონი ფული, რომელიც უნდა თავ. ნიკო დადიანისათვის მიეცათ—იყო მოსატყუარი, რომ ის სამეგრელოდან უფრო ჩქარა გაეყვანათ.

თავ. ნიკოსთან მოსალაპარაკებლად სხვებთან ერთად დიმიტრი ყიფიანიც დანიშნეს, რომელიც მისი მამულების ოპეკუნად იყო დანიშნული და რომელსაც დიდს პატივსა სცემდა მთელი მთავრის სახლობა.

დიმიტრი ყიფიანმა მოხსენება წარუდგინა მთავრობას, რომელშიდაც სწერდა, რომ თავ. ნიკო, მიუხედავათ იმისა, რომ იოლი საქმე არ არის სამეგრელოს სამთავროზე ხელის აღება, მაგრამ რომ ასიამოვნოს ხემწიფე იმპერატორი ნებისყოფით უთმობს ყოველივე თავის ქონებას მასო.

თავ. ნიკომ, შელაპარაკების დროს გაიგო, რომ მას ერთ მილიონ მანეთს აძლევდენ რუსეთში მამულის შესაძენად; მაშინ განაცხადა, ვარანცოვის დროს ოთხ მილიონს მპირდებოდნენ და ეგლა კი რათ შეამცირესო.

15 დეკემბერს მან უმაღლესად მოახსენა, როდესაც სრული წლოვანი გავხდები შევასრულებ ხემწიფის სურვილს, დავსთმობ ჩემს სამთავროს, მხოლოდ მომეცეს ის ოთხი მილიონი, რომელიც ვორონცოვის დროს შემპირდენო. ხემწიფემ ასეთი პასუხი დააწერა მის თხოვნაზე: „მე პირადად, უპასუხეს მას, ვეცდები უზრუნველ ვყო ისა და მისი სახლობა რამდენათაც შესაძლებელი იქნება“.

4 იანვარს 1867 წელს თავ. ნიკო დადიანი სრული წლოვანი გახდა. ამ დღეს თანახმად ხელშეკრულობისა გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომლითაც ისპობოდა სამეგრელოს ავტონომია და არსდებოდა იქ რუსული მართველობა. თანახმად ამ ბრძანებისა თავ. ნიკოს რჩებოდა საკუთრებად კარგა ძალი მიწა-წყალი სამეგრელოში გარდა შავი ზღვის პირისა, სადაც უკვე აგებული იყო რუსის მთავრობისაგან ნავთ-სადგურები, ფულადაც მიეცა ერთი მილიონი მანეთი. თავ. ნიკოს გვარი ებოძა „თავ. მინგრელსკისა“ უგანათლებულესის წოდებით. აგრეთვე ეს გვარი და წოდება უნდა გადასულიყო გვარში უფროსს შვილზედ. მისს ძმას თავ. ანდრიას უბოძეს გვარი „დადიანი მინგრელსკი“, უგანათლებულესი წოდებით, დანარჩენ ჩამომავლობას მიეცათ გვარად „თავ. დადიანი“ უგანათლებულესის წოდებით.

წინად თავ. ნიკოლოზს ეძლეოდა ხაზინიდან 16,690 მანეთი, ეს ფული სამაგიერო იყო იმ შემოსავლისა, რომელიც მომდეკოს მემამულეებისა და საეკლესიო გლეხებისაგან 1,600 მანეთი ეძლეოდა საბაჟო შემოსავალი, დედას ეკატერინეს 30,000 მანეთი ჰქონდა პენსია დანიშნული. ყველა ეს ფულები სამთავროს დათმობის შემდეგ მოესპოთ მათ.

მთელი მამული თავ. ნიკოსი გამოცხადდა სამაიორატოთ 18 ენკენისთვეს 1873 წელს.

ამ მამულზედ დასახლებული იყო არა ნაკლები 2,922 მოსახლე გლეხისა.

სამეგრელო 4 იანვარს 1867 წელს მოისპო, როგორც ცალკე სამთავრო, და შეუერთეს ქუთაისის გუბერნიას.

სამეგრელოს პირველ მართველად ბარიატინსკიმ დანიშნა ნ. პ. კოლიუბაკინი. 8 ენკენისთვეს 1857 წელს, ბარიატინსკიმ დაამტკიცა წესდება სამეგრელოს სამართველოსი. გენერალ-გუბერნატორის უფლებით აქ აღჭურვილი იყო იგივე კოლიუბაკინი. კოლიუბაკინვე იყო სამეგრელოს საბჭოს თავმჯდომარეც, რომლის ორი წევრი ინიშნებოდა მთავრობისაგან და სამი კი ადგილობრივ თავად-აზნაურობისაგან ირჩეოდნენ. ადგილობრივი სამართველოები სამს ადგილას იყო გამართული—სენაკში, ლეჩხუმში და ზუგდიდში. სამართველოებს განაგებდნენ მაზრის უფროსები.*) სოფლის სასამართლოებს განაგებდნენ ხალხიდან არჩეულნი „ხელოსნები“.

ყოველივე საჭირ-ბოროტო საკითხები და საჩივრები უნდა გაერჩიათ მეფე ვახტანგის კანონის ძალით და ადგილობრივ ჩვეულებათა მიხედვით.

გუშინდელი მთავარი სამეგრელოსი თავ. ნიკო, დღეს უბრალო მემამულედ გადიქცა და ბევრითარაფრით განირჩეოდა სხვა დადიანებისა და თავ.-აზნაურობისაგან. მისი მტრები სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ და სამშობლოს თავისუფლების დასამარებას დიდის სიამოვნებით ეტრფიალებოდნენ.

ავ. აბესაძე.

---

*) იხ. „საქართველო“ № 228.

1) დედოფალს 30.000 მანეთი დაენიშნა პენსიად წლიურად. ა. ა.

*) პირველი მაზრის უფროსები იყვნენ კ. ბოროდინი, თავ. რ. ერისთავი და თავ. მიქელაძე.

კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებული იქნება „ქალაქისკენ", ნახატი კოტე ქავთარაძისა, რომაელთა განცხრომა, სურათები ბრძოლის ველიდან, დაჭრილნი და დახოცილნი და ორი კარიკატურა შმერლინგისა. დრამა „გულნიჰალი" ქემალ ბეგისა, ნათარგმნი ჰაიდარ ბეგ აბაშიძისა. ლექსები ლეონიძისა, კანდიდისა და ხევდიანისა.

ახალი ამბავი

სასახლეში.

◆ **პროტოპრესვიტერის წასვლა.** სასახლეში ჩამომხტარი სამხედრო და საზღვაო სამღვდელოების პროტოპრესვიტერი შაველსკი ბრძოლის ველზე გაემგზავრა.

ქართული დაწესებულებანი

◆ **სასოფლო სამეურნეო საზოგადოება.** 13 ამ თვეს მოხდა საზოგადოების საბჭოს სხდომა. თავმჯდომარეობდა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი. განხილულ იქმნა საგურამოს მამულის გამგის ი. დ. მაღალაშვილის მიერ წარმოდგენილი ანგარიში და მისივე მოსაზრებანი მამულის დამუშავების შესახებ. ფულად და ჰირნახულით მამულის შემოსავალი ყოფილა წელს დღემდის 4,167 მან. 17 კაპ., კიდევ არის ასაღები წლის ბოლომდე 380 მ. ამ რიგად მთელი წლის შემოსავალი უდრის 4,547 მან. და 17 კაპ. მიმდინარე წლის 1 მარტიდან 1 ენკენისთვემდის დახარჯულა 5 დეს. ბოსტნის დამუშავებაზე 331 მან., 1 დეს. ნამყენ ვენახის მოვლაზე 203 მან. 50 კაპ., ჰირნახულის მოკრეფა-გალეწვაზე 106 მან. 20 კ., სილობეზე 127 მ. 93 კაპ., მოულოდნელი ხარჯები (სამეურნეო იარაღების მიტანა და სხ.) 95 მან. 62 კაპ., სულ 864 მან. 25 კაპ. ანგარიში დამტკიცებულ იქმნა. შემდეგ საბჭომ დაადგინა: გადაბრუნდეს სავენახედ 2 დეს. და საბოსტნედ დამზადდეს 5 დეს. ადგილი. ამ დღეებში კი საგანგებო კომისიამ უნდა აირჩიოს ხეხილის ბაღისთვის ადგილი.

◆ 16-ს ღვინობისთვეს დილის 11 საათზე წმ. მარინეს ეკლესიის სკოლაში დანიშნულია ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ავლაბრის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საზოგადო კრება. დაწვრილებით განცხადებაში.

◆ **დახმარება ომისგან დაზარალებულ მოწაფეებს.** ქ. საქვ. საზ. გამგეობამ დაადგინა მიეცეს: 1) ქართულ გიმნაზიას 300 მან. 2) ხუთ აჭარელთა შვილების სწავლის ფულად ამავე გიმნაზიას 187 მ. 50 კ. 3) მეორე კომერციულ სასწავლებელს 300 მ. 4) „განათლების" სკოლას 200 მან. და 5) დედათა ეპარქიალურ სასწავლებელს 350 მან.

◆ **საჭიროა მასწავლებელი** ახალქალაქის მაზრის ს. თოკში, საქვ. საზ. გამგეობის. სკოლაში მასწავლებელს თვეში 100 მან. მიეცემა.

◆ **ქ. საქვ. საზ. წევრთა წლიური კრება** დანიშნულია ხვალ 16 ღვინობისთვეს ახალ კლუბის დარბაზში დილის 11 საათზე.

◆ **ხევსურთა დეპეშის შესახებ** ქ. საქვ. საზ. გამგეობამ დაადგინა მათი თხოვნა, შესახებ თეთრბილეთიანებისა და წითელბილეთიანების დროებით განთავისუფლების შესახებ გადაეცეს ამ ჟამად თბილისში მყოფ თიანეთის მომრიგებელ შუამავალს თ-დ ვახ. ბარათაშვილს, რომელსაც დაევალა საზოგადოების მხრივ შუამდგომლობის აღძვრა გუბერნატორის წინაშე ხევსურთა თხოვნის დასაკმაყოფილებლად.

◆ **ხელსაქმის მასწავლებლად** ბათომის რაიონულ განყოფილებამ წარმოუდგინა დასამტკიცებლად მთავარ გამგეობას ხელსაქმის მასწავლებლათ ზემო აგარაში დესპინე არონიშიძე, ალამბარში თეკლე მჟავია, ჩხუტუნეთში ანეტა ქლენტისა ხოლო ზემო აგარის საგნების მასწავლებლად ქ. კალანდარიშვილი.

◆ **ხუცუბნის სააგრონომო სკოლის** 15 მოწაფეთა შესანახად ქ. საქველმოქმედო საზ. გამგეობამ დაადგინა გაეგზავნოს 1917 წ. 1 იანვრამდე ამ მოწაფეთა შესანახ ხარჯად 675 მანეთი, ე. ი. თვეში 225 მანეთი. გამგე მასწავლებლად ამ სკოლისა დანიშნულ იქმნა ბ-ნი ა. წითლიძე.

◆ **ჩურუქსის საავადმყოფოს გადატანის შესახებ** ქ. საქველმოქ. საზ. გამგეობამ დაადგინა, ამბულატორია გადატანილ იქმნას ს. იმერხევში. საწოლები გაუქმდეს. შესაძლებელია ჩურუქსუში დარჩეს მხოლოდ საფერშლო პუნქტი. დანარჩენი საკითხები ამ საავადმყოფოს შესახებ განსახილველად გადაეცა საექიმო კომისიას, რომელსაც 18 ამ თვეს ექიმ ელიაშვილის თავმჯდომარეობით ექნება სხდომა.

◆ **ლტოლვილთა ხელსაქმის გამოფენა.** მათ უმაღლესობის დიდი კნ. ტატიანა ნიკოლოზის ასულის სახელობის კომიტეტმა გამოუგზავნა ქ. საქვ. საზ. მთავარ გამგეობას ვრცელი პროგრამა ლტოლვილთა ხელსაქმის გამოფენისა, რომელიც პეტროგრადში უნდა გაიმართოს. კომიტეტი სთხოვს გამგეობას ეხლავე აცნობოს დაახლოებით სია იმ საგნებისა, რომელიც გამოფენაზე გაიგზავნება. ექსპონატები უნდა გაიგზავნოს არა უგვიანეს 1917 წ. 1 იანვრისა. ამ ექსპონატებმა უნდა ცხადჰყონ ის მდგომარეობა, რომელსაც ლტოლვილი განიცდიდა მტრის მოწოლის დროს ე. ი. სხვა და სხვა სურათ ალბომები და აგრამები, კარტო-გრამები, განსაკუთრებით კი სასკოლო, სასანიტარო და საალმაშენებლო დარგში.

◆ **ხუცუბნის სკოლის პრაქტიკოს მებაღეთ** ქ. საქვ. საზ. გამგეობამ დანიშნა ტრ. გოზალაშვილი.

◆ **ფოთის დაზარალებულთა** სასარგებლოდ ამას წინად 500 მანეთი გაუგზავნა ქ. საქვ. საზ. მთავარ გამგეობამ განსაზღვრულ დანიშნულებით, რომ წყალდიდობისაგან დაზარალებულთ მისცემოდათ ეს ფული. იქაურ რაიონულ განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ს. ნაბადაში სკოლის საჭიროებისათვის მოხმარებულიყო ეს ფული. ქ. საქვ. საზ. გამგეობის უკანასკნელ კრებაზე დადგენილ იქმნა ეცნობოს ფოთის განყოფილებას, რომ ეს ფული წინანდელ დანიშნულებას უნდა მოხმარდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს 500 მანეთი უკანვე უნდა დაუბრუნდეს საზოგადოებას.

◆ **არტაანის მცხოვრებთა გაჭირვება.** არტაანის ოლქში გამგზავრებულნი საზ. სათათბიროს წევრი ბ. აკ. ჩხენკელი და მდივანი საქვ. საზ. გამგეობისა ბ-ნი პ. საყვარელიძე, ენით გამოუთქმელ გაჭირვებულ მდგომარეობას ატყობინებენ მთავარ გამგეობას. მცხოვრებნი ამ კუთხისა დიდ გაჭირვების გამო შვილებს გზავნიან საქვ. მოქ. საზ. თავშესაფარში ს. უდეში, რომელიც 200 ვერსზეა თითქმის დაშორებული არტაანზე. მათი აზრით საჭიროა არტაანში დაარსდეს განყოფილება. გაჭირვებულთ ზემო აღნიშნული პირნი რეგისტრაციას უხდენენ და დახმარებას უწევენ ფულით. იგივე პირნი იტყობინებიან, რომ შესაძლოა დიდი ხანი დავრჩეთ რადგან „სამკალი ბევრია" მუშა ხელი კი ცოტაა.

მთავრობის დაწესებულებანი

◆ **სამკურნალო მცენარეულობის მოყვანის** საქმე დიდ მაშტაბში იწყება მომავალ წლიდან. სასანიტარო და საევაკუაციო ნაწილის მთავარ რწმუნებულის პრინც ოლდენბურგელის განკარგულებით მომავალ წლიდან 6 ათასი დესეტინა მიწა უნდა დაითმოს კავკასიაში ამ მცენარეულობათა მოსაყვანად ნაცვლად 4500 დესეტინისა, რომელიც წელს ჰქონდა დათმობილი.

◆ **„ახალი მეურნე".** გორის სასოფ.-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შუამდგომლობა აღძრა თბ. გუბერნატორის წინაშე ორკვირეულ ჟურნალ „ახალ მეურნის" გამოცემის შესახებ ქ. გორში აგრონომ გ. ზ. ქურდიანის რედაქტორობით ქართულ ენაზე.

◆ **თავდასხმა.** როგორც თბ. გუბერნატორის კანცელარიას ატყობინებენ: დუშეთის მაზრის ს. ორხევში, ს. თარაშვილს თავს დასხმიან 10 შეიარაღებული უცნობი პირი და 228 მან. წაურთმევიათ ფულად და 50 მან. ნივთეულობა.

ქალაქის დაწესებულებანი.

◆ **ქალაქის საბჭოს** ხმოსნებმა ნ. რამიშვილმა, ალ. ლომთათიძემ და ბ-ნმა ერზნკიანმა განცხადება მიართვეს ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვს იშუამდგომლოს საბჭოს წინაშე, რომ რადგან მომავალ 1 იანვარს საიჯარო მამულების გამოსყიდვის ვადა უთავდებათ ნაძალადევის სახლის პატრონებს, ეს გაგრძელებულ იქმნას კიდევ 6 წლით,

სხვა და სხვა ამბები.

◆ **ბ-ნმა თბილისის პოლიცმეისტერმა** განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ზოგიერთ მეპურეთა თავგასულობას და სასტიკი ბრძანება დაუგზავნა პოლიციის ბოქაულებს, რომ მოუშორებლივ თვალ-ყური ადევნონ ფურნეებს და თორნებს, რომ არამც და არამც ნიხრი არ დაარღვიონ, პური უთუოდ კარგად გამოაცხონ, ფურნეები და თორნები მუდამ ღია იყვეს და პური საკმაოდ გამოაცხონ. თუ რომელიმე მეპურე არსებულ წესს დაარღვევს, ანუ დაწესებულ ნიხრს დაარღვევს, მაშინვე ოქმი უნდა შეუყენონ პოლიციის მოხელეებმა და დაუყოვნებლივ მოახსენონ პოლიცმეისტერს. ასეთ მეპურეს ბ-ნი პოლიცმეისტერი სასტიკად დასჯას უქადის.

◆ **საგარეჯოს საფეიქრო სკოლის** მოსწავლენი, აბრეშუმის ამოხვევასაც ისწავლიან. ამ სკოლის მასწავლებელი ქ-ნი ა. კაპანაძე, ოზურგეთში იყო ამოხვევის პრაქტიკულად შესასწავლად და ამ დღეებში უკვე დაბრუნდა. ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მდივნის დახმარებით ქ-ნმა კაპანაძემ აგრეთვე შეიძინა სახვევი მანქანა და საგარეჯოში გზავნის. ქ-ნს კაპანაძეს იმედი აქვს, რომ გარდა სკოლის შეგირდებისა, სოფლელი ქალებიც შეისწავლიან აბრეშუმის ამოხვევას.

◆ **შაბიამანისა და გოგირდის** შესაძენად ხშირად ხალხი მიდის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასა და ფრიდონოვის კანტორაში. მარამ ამათ არცე ერთი და არც მეორე საქონელი ამ ჟამად არ მოეპოვებათ. გოგირდი და შაბიამანი არის მოსკოვის სახალხო ბანკის საწყობში, რომელიც აბარია ბ-ნ კ. კანდელაკს და ამ უკანასკნელს უნდა მიმართონ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში.

◆ **ბაზარი.** თბილისში ბლომად ჩამოიტანეს ქართული ყველი და გირვანქა ფასობს 60 კაპ. აგრეთვე ჩამოტანილია მანქანით გაკეთებული ყველი, რომელიც გირვანქა იყიდება 40—50 კაპ. ერბო გირ. ფასობს 1 მან. 50 კაპ. დაკლული ფრინველიც ბლომად არის ჩამოტანილი.

ვალერიან გუნიასთან

ჩვენი ძვირფასი ავადმყოფი ვალერიან გუნია ამ უკანასკნელ დღეებში თავს გაცილებით უკეთ გრძნობს.

ი. გომართელმა და სხვა ექიმებმა მას სისხლის დენა შეუწყვიტეს, რაც ამდენი ხანი სტანჯავდა ავადმყოფს. ეხლა მხოლოდ სისუსტე, სისხლნაკლებობა აწუხებს, მაგრამ ამისაგანაც მალე განიკურნება.

ექ. გომართელი სისტემატიურად დადის ავადმყოფთან და მთავარ ყურადღებას აქცევს ეხლა სისხლ-ნაკლებობას. ექ. გომართელის აზრით ამ თვის ბოლომდე ავადმყოფი სრულიად განიკურნება და ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი კვლავ შეუდგება თავის საყვარელ მუშაობას.

სასმელ-საჭმელი აკრძალული აქვს, სვამს მხოლოდ ბულიონს. ეჭმება მხოლოდ წიწილის ხორცი.

— კარგია, რომ ამ სანოვაგის სიძვირეში ცოტასა ვჭამო,—იოხუნჯა ავადმყოფმა.

ავადმყოფთან სანახავად დადიან ყოველდღე ნაცნობები, მეგობრები და ამხანაგები: აცნევებენ, უსურვებენ მალე განკურნებას. მართალია, ყველა ეს აციამოვნებს ძვირფას ავადმყოფს, სიხარულს ჰმატებს, მაგრამ ამ ნუგეშთან ერთად კარგი იქნებოდა მატერიულადაც ენუგეშებინათ. ყოველი ქართველი ვინც კი პატივს სცემს და აფასებს ჩვენს მხცოვან მსახიობს და მწერალს უნდა დაეხმაროს მას ამ ხელმოკლეობის დროს და შეაძლებინოს ფეხზე ადგომა, რათა ჯერ კიდევ დიდხანს ისმოდეს მისი ხმა ჩვენს შორის.

ძ. გეგეჭკორი.

ქართველ მაჰმადიანთა შორის

ნათქვამია: „ერთი ჭირი მარგებელია"-ო, მართლაც, მშვენიერი ისტორიული მომენტია დღევანდელი დღე ჩვენს ისტორიაში. ე. ი. ამ საშინელმა ომმა ერთის მხრით სარგებლობა მოუტანა ჩვენს ერს; დღემდის ჩვენ მაჰმადიან ქართველებს ვერ გავუბედავდით—ქართველი ხარო და ვერც ვიცნობდით მათ სავსებით, დღეს კი საშინელმა ომმა ნათელჰყო ყოველივე: საშინელ წვიმის დროს ნიაღვარმა გზა მოძებნა და შეუერთდა თავის დედა ზღვას. ჩვენმა მაჰმადიანმა ძმებმაც ნახეს გზა და შეუერთდნენ თავის დედა-სამშობლო საქართველოს, თავის ძმებს ქართველებს. დღეს ანდამატურის ძალით შეერთდა ორი განშორებული ძმა.

მე არ შემიძლიან ვსთქვა რაიმე ამის შესახებ, მაგრამ თვით ჩემგან ნახული და განცდილი წუთები მაიძულებს უამბო ქართველ საზოგადოებას, რომელიც დიდად დაინტერესებულია თავის ძმების ცხოვრებით, თუ ვითარის შეხედულებისანი არიან ჩვენზე მაჰმადიანი ქართველები და როგორ შთაბეჭდილებას ახდენს საერთოდ მათზე ჩვენი დღევანდელი გულწრფელი დახმარება და ნუგეში.

წარსულ წელს მე შემთხვევით მოვხვდი ჩაქვში, საუფლისწულო მამულში (ბათუმის ოლქი), სადაც მცხოვრებნი თითქმის სულ მაჰმადიანი ქართველები არიან. მე და ორასამდე ქართველ მაჰმადიანებს გვიხდებოდა ერთსა და იმავე სამუშაოზე მუშაობა (გვერდიგნენ აგრეთვე ბევრი გამოქცეული აჭარლებიც). მცირე ხნის შემდეგ მე ძლიერ დავუახლოვდი მათ და იგინიც ძლიერ დამიმეგობრდენ. ერთმანეთის სულის კვეთება ძლიერ მალე შევიგენით. ძალიან ხშირად გვქონდა ბაასი ეროვნებაზე, ჩვენს ვინაობაზე და თითქმის ყველა მათგანი თავისთავს ქართველად აღიარებდა. ძლიერ აღტაცებით იხსენიებდნენ ქართველებს და კიდეც გვემადლიერებოდნენ, ხოლო სარწმუნოებაზე არ სურდათ ბაასი და ძლიერაც ერიდებოდნენ თავის სარწმუნოების ორჭოფად ხსენებას... მე, რასაკვირველია, მალე ვიგრძენი ეს და შევეცადე დამენახვებია მათთვის მხოლოდ სინამდვილე და არა სარწმუნოების „შენ-ჩემობა". ერთ მაჰმადიან ქართველს ჰქონდა ქართული „ყურანი" (მაჰმადიანთა რჯულის წიგნი), გამოვართმევდი მას ამ წიგნს, ჩავჯდებოდი მათში და დაუწყებდი ყურანს კითხვას... ყველანი აღტაცებით ისმენდენ. ბოლოს ისე შეუყვარდათ სამშობლო ენაზე ყურანის კითხვა, რომ დაჟინებით მთხოვდენ მეჩეთშიც მეკითხა მათთვის. სამწუხაროდ თხოვნა სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ვერ შევუსრულე. მთხოვდენ მიმეღო მათი რჯული, მაგრამ მე ამაზე ვუპასუხებდი: ჩემთვის სულ ერთია რა რჯულისაც უნდა ვიყო, აქ სარწმუნოებას არა აქვს მნიშვნელობა, ჩვენ ძმები ვართ და გვაერთებს არა სარწმუნოება, არამედ ნათესაობა-მეთქი. ამის შემდეგ რჯულზე არარას მეუბნებოდნენ და ყურანს კი ძალიან ხშირად მაკითხვინებდენ. მათ ჰყავდათ მოლა, რომელიც ყურანს არაბულ ენაზე უკითხავდა, ხოლო მათ კი არაბული არ გაეგებათ.

შემთხვევამ მაიძულა დავცილებოდი საყვარელ ძმებს და ჩემი გულის ზრახვანი თუ მისწრაფებანი დროებით შემეჩერებინა... დღეს მალ-მალ ვღებულობ წერილებს მათგან, რომელთა შინაარსიც იმედს მაძლევს და აბობოქრებულ სულს მიმშვიდებს... ამ დღეებში მივიღე მე ერთ იქაურ მეგობარ ხასან ბარამიძისაგან წერილი, რომელიც აი რასა მწერს: ...„ნუ დავიძრახებით სახელოვან საქართველოს შვილთ შორის, რომელმაც დაიხსნა დღეს ქართველი მაჰმადიანები და რომელსაც ვწირავთ დიდ მადლობას. სულით და გულით ვართ მასზე მონდობილნი, რადგან მის მეტი პატრონი ჩვენ არა გვყავს. ჩვენც ვიგრძენით ვინ ვყოფილვართ მართალია, ერთიორი ბნელი ხალხი ჩვენც გვყავს, მაგრამ ეხლა თანდათან რწმუნდება ყველა თუ ვინ ვყოფილვართ და ვინ ყოფილა ჩვენი პატრონი... საქართველომ გამოსძებნა დაკარგული თავისი ძმები და სცდილობს მისცეს მათ განათლება და დააყენოს სწორ გზაზე, გააცნოს, შეაგნებინოს დედა-ენა"... და სხვა და სხვა. ტკბილია, გეტყვი გულწრფელად, მკითხველო, ტკბილია ასეთი წერილი დაკარგული ძმისაგან მოწერილი.

ნათქვამია: „მდინარემან ნახოს კალაპოტი, და კალაპოტმან იგი მიიყვანოს ზღვასა შიგან".

გიორგი ბ. პირველი.

ფიქრები რევიზიის შემდეგ

26 მარიამობისთვეს, ბ. გ. გორდეზიანმა მოულოდნელი რევიზია გაუკეთა თბილისის მესამე შემნახველ-გამსესხებელ საკრედიტო ამხანაგობის კასას და საწყობებს. დიდი ხნის სურვილი—გავცნობიყავ ამ თავისებურ დაწესებულებას, ამისრულდა შით, რომ ბ. გორდეზიანმა მისახმარებლად მიმიწვია მეც.

ამხანაგობის კასა და დავთრების წარმოება სავსებით უნაკლო და წესიერად ნაწარმოები აღმოჩნდა. მოსამსახურენი ყოველ შეკითხვებზე სრულ და დამაკმაყოფილებელ პასუხებს გვაძლევდნენ. ეტყობოდათ სრული შეგნება იმ დიდ მოვალეობისა, რომელიც ამ ამხანაგობას უდევია თავზე: იგია არამც თუ შემნახველ-გამსესხებელი კასა, არამედ საშუამავლო ოპერაციების გამწევიც. თავს უდევია არამც თუ ფულით ხელის გამართვა. ჩვენებურ მეპურეებისთვის, არამედ მოუწყვიათ გამოწერა ფქვილებისა ყოველ გამოჩენილ რუსულ ფირმებიდან და საკუთარ დაქირავებულ საწყობებიდან. მეტად ხელსაყრელად აწვდიან ფქვილს თავიანთ წევრებს და ხანდიხან სოფლის კოოპერატივებსაც. ამხანაგობა ყოველგვარ ხარჯების გასტუმრებისთვის იღებს მეშოკზე მხოლოდ ერთ აბაზს. ამ გვარი ოპერაციები მხოლოდ კომერციულ ბანკებს ეხერხებათ და ისიც კაი გამოცდილების შემდეგ, ამ ამხანაგობას კი ხარი რქით დაუჭერია და თავიდგანვე შესდგომია ძნელს, მაგრამ აუცილებელ საშუამავლო ოპერაციებს.

თუ რამდენად ძნელია ასეთი საქმეების გაძღოლა და ნამეტნავად ჩვენებურ მესვეურ წრეებისთვის, იქიდგანაც სჩანს, რომ ბევრად უფრო მეტი გამოცდილების და მეტი თანხების მქონე ჩვენს დაწესებულებათ ჯერ დღესაც ვერ გაურღვევიათ მოჯადოებული წრე და ვერ შესდგომიან საკუთარ საწყობების გაჩენას, საკუთრად დაკვეთას და საკუთარ წარმოებავაჭრობას. მაგ. მიუხედავათ იმისა, რომ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას, მეტად მძლავრს თანაგრძნობით და მოწინავე ხალხით, საზოგადო კრებაზე პირდაპირ დაავალეს ცდილიყო კომისიონერების ჩამოშორებას და ხალხის საჭიროებისთვის სურსათის მხრივ თვით უშუამავლოთ მოევლო, დღესაც საქმე კომისიონერების ხელშია და მომავალი გაჭირვების გაძღოლაც მათვე აქვთ მინდობილი.

უძველესმა წერა-კითხვის საზოგადოებამ ვაჭრობის გარედ გამოტანის საქმე ნამდვილ ირლანდიელ ჰომრულად გადააქცია. ირლანდიელებს ელირსათ ჰომრული, მაგრამ წერა-კითხვის საზოგადოებამ ვერ იქნა ვერ გამოიტანა თავის მაღაზია ქუჩის პირად. იმ დროს, როდესაც სხვა საშწერლო და სახელმძღვანელო მაღაზიებში ბუზივით ირევა მოსწავლე ახალგაზრდობა და დიდს ხეირს აძლევენ [illegible] მეპურეთ, ჩვენი ანალოგიური დაწესებულება ცარიელაა, ან კანტი-კუნტად და პუნების კარის მყიდველი თუ ეწვევა.

ახალი კლუბი გამწარებული ხვეჭავს საწევრო თუ სხვა რამ გადასახადებს წევრთა და სტუმართაგან. ხელმოკლე ქართველობას, რომელიც უმთავრესად სწყალობს ამ დაწესებულებას, ცხადია, მძიმე ტვირთად აწევს ეს არაპირდაპირი გადასახადები, მაგრამ —ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, მაინც იხდიან. ამავე დაწესებულებაში ბუფეტის და სადილ-ვახშმის საქმის გაძღოლა სხვის ხელშია და უდიდესი შემოსავალი კლუბურ ცხოვრებისა კერძო პირთა საკუთრებად ხდება. სადღა არიან, თუ არ აქ, ჩვენი პრაქტიკულ ცხოვრების გამოფხიზლების მოტრფიალენი, მაგრამ წლები გადის და კაი ფიქრი და ლაპარაკი ამის შესახებ დღესაც საქმედ ვერ უქცევიათ. ვერ ჰბედავენ ცდა მოახდინონ, ცდა, რომლის კეთილად დაბოლოვებას 99% შანსი აქვს.

ვაშა! იმ გულმოდგინე მუშაკთ, რომელთაც თავს იდვეს გამოუცნობელის შებედვა და სასახელოდაც აასრულეს ნაკისრი მოვალეობა. ცდა ბედის მენახევრეაო—თბილისის ნესამე შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის გამგეობაც არ გაჰქცევია სახიფათო მომავალს (თუმც არა ყოველთვის) და საქმეც მოუგვარებიათ სამაგალითოდ და საკეთილდღეოდ. მარიამობისთვის ფქვილის ოპერაციამ წმინდა მოგება ას თუმანზე მეტი მისცა ამხანაგობის კასსას. იტყვით ეს ძალიან ცოტაა იმ აუარებელ ფქვილის რაოდენობის გასაღებასთან, რაიც ამ ამხანაგობას ვაგონობლივ გადაუცია მეპურე ამხანაგებისთვის. მაგრამ აქ აღსანიშნავია და ანგარიშში ჩასაგდები სხვა უფრო კიდევ დიდი მოგებებიც, რომელიც მიეცათ მეპურეთ ამ ამხანაგობის არსებობით. რამდენად ღირს ის დრო, რომელსაც მეპურენი საწყობიდან—საწყობამდე სიარულს და აქ ჩარჩებთან ლიქნის ანდომებდნენ; დღეს კი ყოველი მათგანი ან თვით მოდის სალამოთი რამოდენიმე წამით და ფული შეაქვს ამხანაგობის კასაში, ან ბიჭს ჰგზავნის და საქმეს იკეთებს. მეორე დღეს, რაკი კასაში ფული შემოტანილია, ამხანაგობა თვით უგზავნის დანიშნულ დროს საჭირო ფქვილებს. რამდენს ხეირს აძლევს მუშაკთ ეს დაწესებულება, სადაც მათ მხოლოდ აბაზს ართმევენ მეშოკზე და სხვა გვარად არაფრის გამორჩენას და ფასების აწევ დაწევას აქ ადგილი არა აქვს. სხვა პირობაში, სხვა მოვაჭრეებთან კი მეშოკზე მანეთსაც მისცემდნენ და თუმანსაც; შეატყუებდნენ გაფუჭებულ დაბალ ფქვილს, ერთს ამ ფასად შესთავაზებდნენ, მეორეს სხვად და ვინ იცის კიდევ რამდენ ხრიკებს მიჰმართავდნენ, რათა მეპურეთა, თუ მთელი ნაოფლარი არა, უმეტესი მაინც მეფქვილეთ დაჰრჩენოდათ.

საჭიროა ამხანაგებმა ყველა ამას დიდი ყურადღება ათხოვონ. როგორც აქნობამდის, ისე შემდეგაც მეტის სიფხიზლით მოეკიდნენ ამხანაგობის საქმეს და არავითარ შემთხვევაში გული არ აიცრუონ. კოოპერატიულ ცხოვრებაში იყო შემთხვევები, როდესაც ათი წლობით ნაშენი ხუხულა, მუშა ხალხს ერთმა შემცდარმა ნაბიჯმა, ნანგრევებად უქცია; სატანიური სიცილ-ხარხარი ჰხვდათ მეთაურთ წილად, მტერთ კიდევ იმედები გაეღვიძათ კვლავ ყლეფა-ძარცვის შეძლებულობისა, მაგრამ ზოგიერთ მუშათა შეგნებამ და თავგამოდებამ სძლია ყოველი დაბრკოლება, ყოველი გასაჭირი და დღეს ვილას არ გაგიგიათ როჩდელელ პიონერთა მთელ დედამიწის ზურგზე სამაგალითო დაწესებულებანი. ხალხის გამოღვიძებას, ხალხის თვითმოქმედებას ბევრი მტერი ჰყავს, ბევრს უფრთხობს ძილს ხალხის მხრების გაშლა და ამიტომ ბევრგვარი მტერ-მოყვარე აგყვებათ, რომელთაგან მგლის ტყავში გახვეულნი ბევრნი იგულეთ და მზათ იყავით ყოველგვარ შემთხვევებისთვის. საქმე ჭირის გაძღოლაა, თორემ ლხინი ყოველთვის ლხინია.

არ შემიძლიან არ აღვნიშნო და არ ვანუგეშო ეს ამხანაგობა იმით, რომ, ვიდრე ისეთი თავგამოდებული, პატიოსნებით და უანგაროებით სავსე თავმჯდომარე ეყოლებათ, ისეთი გულშემატკივარი ინტელიგენტური ძალები საბჭოში, როგორებიც მას ჰყავს, საშიშროება არსაით მოელის. სხვაფრივ ვერც წარმომედგინა ჩვენი საზოგადოეგრივი სიცოცხლის აღორძინება, თუ მას არ აღმოუჩნდებოდნენ დროს მქონე, კონებრივად უზრუნველყოფილნი, პატიოსანნი და უანგარო მუშაკნი ინტელიგენტთა შორის.

ევროპაში ამგვარ დაწესებულებათ, რომელზედაც აქ საუბარი გვაქვს, თავიდგანვე აღმოუჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც არამც თუ გამგებლობა, თვით პროპაგანდა, ძნელი

წვრილმანი მუშაობა იდევს თავზე კოოპერატიულ მოძრაობაში. სწორედ ამ უანგარობამ, ამ ხალხისთვის თავგამოდებამ მოახდინა ჯადოსნური გავლენა იქაურ ცხოვრებაზე და, ის, რაც ვერ გაკეთდა მეფეთა კანონმდებლობით, საგმირო ომებით და მეცნიერთა კაბინეტურ კვლევა-ძიებით, კოოპერატიულმა მოძრაობამ მოახერხა და კანონები შეიგუა, მეცნიერთა ნაწერები საქმეთ აქცია და მაშვრალთა ცხოვრება შედარებით ააყვავა.

ჩვენში აღმოჩნდნენ ასეთი ადამიანები. გ. დიასამიძეს განცხადება ზემოხსენებულ ამხანაგობის კრებაზე, რომ იგი სასყიდელს არ აიღებს და გულმოდგინეთ კი ემსახურება მუშათა ამ მეტად სასარგებლო საქმეს. ბ. დიასამიძეზე მეტი ქონებ-ცხოვრება ბევრს აქვს, მაგრამ მთელ სიცოცხლეს კი კლუბ-თეატრებში ატარებენ?

ერთი უშვილო ხელოსანს ვიცნობდი, რომელსაც გული ასცრუვებიყო ცხოვრებაზე; რაც შეეძინა, იმის დანიშნულებაც არ იცოდა სიკვდილის შემდეგ, არამცთუ ახალი რამ ეფიქრა. ჰსომდა, ქეიფობდა და უსაქმოდ დაიარებოდა. როდესაც გავაცანი ჩვენი წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიზნები, სიხარულით წამოიძახა: „ახლა კი ვიცი რისთვისაც უნდა ვიმუშავოვო“. იქნებ ბ. დიასამიძეს მაგალითმა ბევრს წამოაძახებინოს ამ პატიოსან ხელოსნასავით: „დროა ჩავება ხალხის საქმეში, რომელთაგანაც უპირველესი დღევანდელ პირობებში. კოოპერატიული მოძრაობაა, დავძენ ჩემ მხრივ.

ამხანაკობის კასსა, მეტად დიდი კასაც ჩვენებურ კაცსა აქვს ჩაბარებული. ან კი, მაშ ვის უნდა ჰქონდეს ჩაბარებული, გაიკვირვებთ ყველანი...

ჩვენ კაცს არსად უშვებენ, სინდისის მოსახდელად თუ ვისმე მიიღებენ ისიც დაბალ სამსახურში, და ჩვენც ჩვენს დაწესებულებებში ცხვირი თუ ავკარით შინაურებს, კაი დაგვემართება, შენმა მზემ. ამ გვარ უკუღმართობაზე სიტყვით ყველანი ვლაპარაკობთ ბევრიც იწერება ამის შესახებ, ვინც არ უნდა სთქვასო, წისქვილი კი ჰფქვავსო, მაინც თვალი ყველას ჩრდილოეთისაკენ გვიჭირავს და იქიდგან ველით ჩვენ ცხსნილ მასწავლებლთ: კასირები ბევრია საჭირო საქართველოსთვის დღეს, უფრო ბევრი დაგვჭირდება მომავალში, რაკი კოოპერატიული ვაჭრობა, კოოპერატიული წარმოება და ბანკები მოიკიდებენ ჩვენში ფეხს. არტელშიკებით გაივსო ჩვენი დაწესებულებანი, ეს მეტად დაბალი პრობის ინტელიგენტები ძაან ძვირად გვიჯდებიან; ორგანიზაციის წყალობით, ვინ იცის სადაური სად იდგამს ფესვებს და მას სხვანი ახალნი მოსდევენ და ასე პრელდება ადგილი, პრელდება დაწესებულება და ეს მხოლოდ ჩვენი დაუდევრობის და შეუგნებლობის გამო.

ინდოეთში დიდებულ ჩვენს ნეფეს ვახტანგ გორ-გასლანს, რომ კოშკიდგან გადმოსძახეს დამაფიქრებელი სიტყვებით, დღეს ჩვენც გვეკუთნის: ჩვენები სხვაგან იხვეჭენ სახელს და დიდებას, სხვას ანცვიფრებენ ყოველგვარ სამსახურში თავიანთ ზნეობრივ სითამამით, ჩვენ კი-შინაური ელამიაო — ყველას კარებებს ვეხურავთ და დღის რუსეთზე ვუშვერთ ხელს—წადი და იქ ეძიე სამსახურიო. აკი ბევრი საუკეთესო შვილი დაკარგა პატარა საქართველომ; თვით ჯანლონიდგან დაცლილი სხვა დიდებულ ერთ აწვდის ნიჭიერ სწავლულთ და მოღვაწეთ.

კოოპერატივებში და ბანკებში, რომ არა დაგვემართოს რა ამ გვარი, დროა საკუთარ ამხანაგობებს მივმართოთ და არტელების მაგვარი ორგანიზაცია მოვაწყოთ ერთი მთელი საქართველოსთვის. დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ ხალხიც აღმოგვიჩნდება და გასაკეთებელი საქმეც მრავალი აღმოჩნდება. იმ პირთ, რომელთაც უხდებათ ჩრდილოეთიდგან მოსამსახურეთა გამოწერა, თავზე უნდა იდვან ამ გვარ ორგანიზაციის შექმნა. ყველაფერი საკუთარი, ყველაფერი თავისებური, ყველაფერში თავის თავის იმედი, აი დღევანდელ პირობათა კარნახი!..

მესამე შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას ვუსურვებ კეთილად წარმატებას.

ლ. ცაგარელი.

სოფლის გასაჭირი

ვინც თვალყურს ადევნებდა ჩვენს გაზეთებს, ის არა ერთხელ შეხვდებოდა წერილებს იმ აუტანელ მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც იმყოფებოდა საერთოდ დასავლეთი საქართველო და კერძოდ კი სამეგრელო — ზუგდიდ-სენაკის მაზრები. ყველას კარგად ეხსომება თუ რა დიდი ზიანი მიაყენა მათ შარშანდელ გაზაფხულის გამუდმებულმა წვიმებმა და წყალდიდობამ, ამას ზედ დაერთო შიმშილობა, და ისედაც გაჭირვებულ და ღარიბ-ღატაკ ხალხს მუსრი გაავლო. მთავარი ძალა ოჯახისა ბრძოლის ველზე იქნა გაწვეული, შინ დარჩენილმა, მოხუცმა ან და ძლიერ ახალგაზდამ ვერ შესძლო გამკლავებოდა ზედი-ზედ მოვლენილ უბედურებებს, რის გამოც ოჯახი განიავდა, ყანები სტიქიამ იმსხვერპლა და შიმშილისაგან ადამიანთა მსხვერპლიც ბევრი იყო. ასეთი ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა კერძოდ სამეგრელოში 1915 წელმა. მეტად დაუძლურდა სამეგრელოს სოფლები; თუ წინეთ მათ ბაზარში გასასყიდათ დაჰქონდათ სურსათ-სანოვაგე, ახლა თვით შესაძენად მიდიან, მაგრამ სად იშოვნიან? სანოვაგის ფასებს მათი ჯიბე ვერ უძლებს და შინიდან წასული მშიერ-მწყურვალი ქალაქში რისიმე სასყიდლად ისევე უკან ბრუნდება ღონე მიხდილი და დასუსტებული.

შევა თავის ნესტიან ოთახში და მიეგდება არაქათ გამოლეული. ასეთივე სურათი მეორდება მეორე დღესაც. ადგილობრივ მოთავე საზოგადოებამ ცოტად თუ ბევრად შეიგნო ხალხის აუტანელი მდგომარეობა და შეძლებისა და გვარად ჰსურს რამე დახმარება აღმოუჩინოს, მაგრამ ასეთი პატარ-პატარა დახმარება ზღვაში წვეთია, ეს ვერ უმსუბუქებს მათ ტანჯვას. საჭიროა უფრო ენერგიული მუშაობა, რათა ამ აუტანელ მდგომარეობას მდაბიო ხალხმა თავი დააღწიოს. წელს საქმიანობა ცოტათი მაინც ეტყობათ ზუგდიდის მეთაურებს. სულ რამოდენიმე ხანში მათ ბევრი რამ სასარგებლო საქმე გააკეთეს და ფიქრობენ მომავალისთვის უფრო კარგად მოაწყო-რიგონ და ამით დახმარება აღმოუჩინონ მშრომელ ხალხს, ასეთი ენერგიული საქმიანობა ნამდვილი მისაბაძია და ეს უნდა ხდებოდეს არა მარტო ზუგდიდში, არამედ სამეგრელოს სხვა სოფლებშიაც, როგორც მაგალითად ცაიში, ხეთაში, ხობში, წალენჯიხაში და სხვ. დროა, ბატონებო, შევიგნოთ თუ რა გვჭირდება და პირველ ყოვლისა ყურადღება მივაქციოთ ჩვენს სოფლებს. გავაუმჯობესოთ მეურნეობა, ავაყვავოთ სოფელი, ვასწავლოთ მშრომელ ხალხს მუშაობა რათა შემდეგში მაინც თავი დავახწიოთ აუტანელ მდგომარეობას.

გენო.

კეშელთის მრევლი

(გორის მაზრა, ჯავის საზოგადოებ.)

ამა 1916 წელს 29 ენკენისთვეს გვქონდა დღესასწაული ჩვენის მღვთისმშობლის მიძინების ეკლესიისა ეგრედ წოდებული „იჩნა“. დიდძალი ხალხი დაესწრო სხვა და სხვა კუთხიდან. თითქმის კახეთიდანაც კი ჩამოვიდნენ მლოცველები. ეს კახელები არიან ქალეხსაშვილები, ყოჩიშვილები და სხვები, რომლებიც მამულის უქონლობისა გამო აიყარნენ და გადასახლდნენ კახეთში. იქ მამული ჰყოფნისთ, მაგრამ სიცხისა და შეუჩვეველ ჰავის გამო ავად ხდებიან. კახეთში გადასახლებულ ოსებს სულ სხვანაირი სახე ფერი დაედოთ. იმათ აღარა აქვთ ჯანსაღი სახე. მოუყვანიათ ჩვეულებისამებრ ხარი და ცხვარი 30-დე. ოსებს ჩვეულებად აქვთ და წესად უფროს-უმცროსობა. ლოცვის შემდეგ დასხდნენ ჯერ მოხუცებულები და მერმე ახალგაზდობა რიგზე და ქალები. ხალხი სანამ დასხდებოდა მღვდელი ეკლესიაში ელაპარაკა სარწმუნოებაზე და იესო ქრისტეს სწავლაზე. ხალხი კმაყოფილი დარჩა. სუფრაზე უფროსი მოხუცი წამოდგა და დაიწყო ლოცვა ყანწით ხელში. ბევრი სალოცავების სახელები ჩამოთვალა, შემდეგ უსურვა ავადმყოფებს კარგად გახდომა და სხვ.

სიონ.

ბეთანია

პატარა ექსკურსია.

პირობა შევკარით მასწავლებლებთან ერთად წავსულიყავით ბეთანიის დასათვალიერებლად და შესახვედრ ადგილად ქართ. გიმნაზია ამოვირჩიეთ.

ცა ის-ის იყო რიჟრაჟობდა, როდესაც დანიშნულ ადგილისაკენ გავეშურე და სწორედ დროზე (5 საათზე) ალაგს მივედი. იქ რამდენიმე ამხანაგი დამხვდა. ყველას საგზალი კოხტად გამოეკრა და მხარზე წამოეგდო. მხიარულად მივესალმეთ ურთიერთს. ძალიან იშვიათად არის ასეთი ნათელი სულის განწყობილება ჩვენ მოწაფეებში, როგორიც იყო მაშინ. ალბად ეს თუ გვიხაროდა. ამხანაგები თანდათან გვემატებოდნენ. ცაც თავისას არ იშლიდა, ნელ-ნელა ფერს იკრთობდა, განთიადი ახლოვდებოდა. აგერ მზემაც გაანათა. ბ. მასწავლებელნიც მოვიდნენ. დიდხანს აღარ დაგვიყოვნებია, გზას გავუდექით.

მხიარულ ბაასით ავირბინეთ წყნეთის მაღლობები. სოფელში შესვლისას ამხანაგებმა შემოსძახეს სიმღერა. სოფელს როგორღაც ქართული სუნი არ უდის და იმიტომაც აქ მყოფს მოაგარაკეებს შეშინებული თვალები დააჭყეტინა ამ მოულოდნელმა ქართულმა სიმღერამ.

სოფლის გარედ, მუხების ჩრდილ ქვეშ შევისვენეთ. ყველა ვმხიარულობდით. არ ვიცი ვინ ვისა სჯობნიდა, მასწავლებელი თავის მოწაფეს თუ მოწაფე პირველს. ერთმანეთს ვეჯიბრებოდით სიმღერა-სიცილში.

გვიანობა გზას გაგვიძნელებდა და ჩვენც მალე შევუდექით გზას. აგერ ჩვენ თვალწინ აღიმართა ამაყი ქოროღლის ციხე. რა სიდიადეა იმის სიმარტოეში! რა ძლიერი ნების ყოფის პატრონი უნდა ყოფილიყო იგი, ვინც იმ მაღალ კლდეზე ააგო იგი. რა იმედით სდებდა ქვას ქვაზე! და წინად მრისხანე ციხე დღეს დაღონებული იმზირება. ვინ იცის თავის წინ გულმოკლული გასცქერის ბრძოლის ველს. ვინ იცის ჰნანობს? ისინი ვინც წინად მამულს იცავდნენ, დღეს სხვის ძალით სხვის მამულში შეჭრილან და აოხრებენ, ატიალებენ...

სამადლოზე ჩავედით. ირგვლივ სულ დუქნებია. მედუქნეები თავის კანტურით გვეპატიჟებოდნენ. ჩვენ მათთვის არ გვეცალა. ვეშურებოდით სასურველის ჩქარა ნახვას. ეხლა კი სულ ტყე უნდა გვევლო. სწორედ კაი დროსაც შეგვესწრო, სიცხისაგან დაგვიფარა. ერთ ღრმა ხევამდე ტყე მალე ჩავირბინეთ. გზაც მშვენიერი იყო, მაგრამ აქ უცბად დაიკარგა და ცოტა არ იყოს შეგვაფიქრიანა. წინ გავიქეცი, აველ სერზე და გადვიხედე. ჩემს წინ აღიმართებოდა მშვენიერი ბეთანიის ტაძარი. გამეხარდა, და უკან დარჩენილ მგზავრებს გავყვირე, ხმა მალე მომაწვდინეს და მალე ჩემთან გაჩნდენ. მხიარულ ყიჟინით ჩავირბინეთ ტყით შეფენილი ფერდობი და ერთ წუთს უკან გალავანში გავჩნდით.

ობლად და მრისხანედ გამოიყურება ტაძარი. თითქოს რაღაცას გვისაყვედურებს... მოვიხსენით ჩვენი გუდანაბადი და იქვე მწვანე მოლზე მივყარეთ. მოვინახეთ ყარაული. მან გვითხრა, მღვდელმონაზონი სპირიდონი წმინდაგიორგში წავიდა და ეკლესიის გასაღები თან წაიღოო. ყველას გვეწყინა. თამარის დიდებულ სახის სანახავად ამოველით და კარი კი დაკეტილი დაგვხვდა. რას გავაწყობდით, ბედს დავემორჩილეთ. ეკლესიას გარედგან დაუწყეთ თვალიერება. რა მდიდარი ჩუქურთმაა. რა სინაზე, წმინდა ქართული სინაზე ამ ქართულ შემოქმედებით ნამუშავარში. რა ლამაზად ჩახლართულა ნარისა და ვაზის ფოთოლი, თითქოს ტკბილი მეგობარნი ყოფილიყვნენ ურთი-ერთისა! რა მოაფიქრებდა ბედნიერ მოქანდაკეს, რომ მრავალ საუკუნეთა შემდეგ მისი ნამუშავარი თითით საჩვენებელი იქმნებოდა, რომ იგი ქართულ შემოქმედებით აღფრთოვანებული ჰქმნიდა წმინდა ქართულ ხელოვნებას!

ერთგან აკლდამის კარი ღია დაგვხვდა... ვეებერთელა ძვლებით და თავის ქალებითაა სავსე. წინ, აგურის ლაფაზე რამდენიმე ქალა დევს. რა საზარლად და დამაფიქრებლად იმზირებიან! მათს შავს ჩაცვივნულს თვალებში თითქოს რაღაცა საყვედური იხატება ჩვენდამი, როგორც ულირს მემკვიდრეებისადმი...

გალავანი მშვენიერი ჩუქურთმიანი ქვითაა ნაშენი. რა სიმდიდრე და ძვირფასი განძია სათითაოდ მისი თვითეული ქვა! დღეს კი ასე ობრადა ყრია ამ ტყე-ღრეთა შორის! ყველამ დუმილით ჩავქინდრეთ თავი. უეჭველია, თვითეული ჩვენგანი ჰფიქრობდა იმაზე, თუ რანი ვიყავით ოდესღაც, ან რა ვართ ეხლა! „პასუხი, პასუხი!“... ვამბობდი გულში. განა რომ სასაცილო იქნებოდა ასეთი შეკითხვა და პასუხის ლოდინი, ვინაიდან პასუხი თვითონ ეს მდუმარედ მოუბარი ნანგრევები და ფიქრდასერილი დადუმებული მეტყველნი ვიყავით ერთად...

სალამო ხანზე გალავანში მყოფმა მწყემსებმა გვითხრეს წმინდა გიორგისაკენ მივდივართო, გამოგვყევით ვინმედა მამა სპირიდონისაკენ გზას გასწავლითო. რადგანაც მიზანი ჩვენი პატარა ექსკურსიისა, თვით ტაძარი და მისი დიდება—თამარის სურათის ხილვა იყო ამიტომ არავის არ გვსურდა უამისოდ წასვლა. მწყემსებს ორი ჩვენი ამხანაგი გაჰყვა, თუმცა მასწავლებელნი შიშობდნენ, ვაი თუ დაიკარგონ, იტკინონ რამეო, მაგრამ მათ თვისი და ჩვენ ჩვენი გამოცდილი ამხანაგები მაინც წავიდნენ... ბინდი დასცა. დრო იყო ცეცხლის დანთებისა. ჯერ ბლომად შეშა დავამზადეთ. ტყეში ვიყავით. არ გვენანებოდა. დავანთეთ ვეებერთელა ცეცხლი და შემოუსხედით გარშემო. ცოტაც და მაშ გაისმა ჩვენებური ქართლური „ცანგალა და გოგონა“. სევდა იდუმალობა მსწრაფლ გულიდან გადაგვეყარა. თვით კედლები ტაძრისა, ცეცხლის ალით განათებულნი რაღაცა მხიარულად იღიმებოდნენ, თითქოს იცნეს ეს მშობლიური ხმა და შუბლი გაიხსნესო...

ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. ამხანაგები არა სჩანდნენ. შევფიქრიანდით. ფიქრი მალე შიშზე გადავიდა „ვაი თუ“... აი ყველას რა გვეკერა პირზე: ერთხანად ხმაურობა მოგვესმა. გვეგონა ისინი არიანო. ხმა მივეცით. გამოველით საძებნელად ჩვენ და მასწავლებელნი, მაგრამ ამხანაგების ნაცვლად მთიულები შეგვხვდნენ. დავბრუნდით. ზოგიერთ ამხანაგს კიდეც დაეძინა. ჩვენც მოვუსხედით ცეცხლს და უგუნებოდ ჩავიძინეთ. დილა ადრიან გაგვეღვიძა. ცეცხლი კიდევ ენთო, შეშა მივუმატეთ. ამხანაგები კიდევ არ სჩადნენ. ეს კი ყველაფერს აღემატებოდა. ის-ის იყო წასვლას ვაპირებდით საძებნელად, რომ გალავანში შემოვიდნენ მამა სპირიდონი და ორივე დაკარგული ამხანაგი. ვინ იცის, მათი დაბადება მშობლებს ისე არ გაჰხარებოდათ, როგორც ჩვენ. საყდრის კარი გაიღო და შევეძღვა მამა სპირიდონი. პირველად თვალი თამარ მეფის სურათისაკენ გაეშურა, უხმოდ ვუმზერდით, გვიკვირდა ჩვენ ძველთა ხელოვნება, კალმის მოსმა. ჩვენ წინ დიდი თამარი ცოცხლათ იდგა, „კიდელს დარღვეულზე“. თვალი ვიბრუნეთ, კანკელსაც რომ მართლა დიდხანს ვერ მოვაშორეთ თვალი. რუსული იისოკრისტე წითელყვითელში ჩაცმული, რუსული მარიამი, რუსულ წარწერებით. გაგვიკვირდა და გაკვირვება ჩვენი მ. სპირიდონმა გაჰფანტა, რუსების შემოწირულებ არისო. ბევრი რამ გვიამბო მ. სპირიდონმა ამ ოცი წლის ისტორიიდან ბეთანიაზე. ბევრი დამაფიქრებელი თვისება ჩვენი ქართველისა. გულგრილობა, აპილპილება. „რა დაპირებით და იმედებით დამაყენეს აქ.

ბ. ჩვენი ექვთიმე რას არ მპირდებოდა. ბარათაშვილმა-პური და ღვინო ჩემგან გექნებაო. საქმე არა გაქვთ. წარმოიდგინეთ ბოსლათ იყო გადაქცეული, ჩამონგრეული, გავერნებული და ღვთის მადლით ძლივს მოვარჯულე. სამასი ფიცარი მანგლისში მაქვს მოთხოვნილი იატაკათ რომ აგია, კიდევ სხვა რამდენი და დღეს სრულიად უპატრონოდა ვარ. რომ მოვკვდე, დამმარხავიც არავინა მყავსო“.

მართლაც და საქებარია მამა სპირიდონი, რომ ამისთანა დიდი ჯაფა გაუწევია, რომ სრულს დაღუპვიდან, იხსნა ეს დიდებული ნაშთი ჩვენის წარსულისა. მიუხედავად ამისა, იგი უძლურია სავსებით დაიფაროს ეს ძეგლი, რომელიც დღეს არა, ხვალე მაინც წამოიქცევა, თუ ჯეროვანი ყურადღება არ მივაქციეთ. ერთმანეთში შევკრიბეთ რვა მანეთამდე და გადავეცით მ. სპირიდონს ტაძრის სასარგებლოდ.

სამხრეთის კედელზე თვითონ ამშენებლების სურათია. იგი ბეთანიის გეგმას ურდგენს ღვთისმშობელს, კოპიას იმ ხატისას, რომელიც ქვაშვეთის ეკლესიაში ასვენია. სათითაოდ ყურადღებით გავშინჯეთ ყოველი ძველი მხატვრობა და ისე დავანებეთ თავი. წინეთ თუ კი ასე იყო განვითარებული მხატვრობა, ხელოვნება, რატომ ეხლა კი არ უნდა იყვეს, განა ეხლაც კი იგივე ქართველები არა ვართო. თითქოს ვეკითხებოდით ერთმანეთს, მაგრამ განა ასეთი კითხვა-პასუხი ყოველთვის მომენტალი არ არის? ენახავთ. აიძვრის. ჩაივლის. ვსდუმდებით.

დილის ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც გამოვესალმეთ მ. სპირიდონს და და ბეთანიას. არ გვინდოდა მოშორება, ვინაიდგან იქ განვიცადეთ მრავალი წუთი. თითქოს ამ ძველმა ტაძარმა იმოქმედაო, გაადნო ის ვეებერთელა ყინული ჩვენსა და მასწავლებელთა შორის, რომელიც ერთმანეთს გვაშორებდა და ნებას არ გვაძლევდა, ახლო გვეხილნა ურთი ერთი, აქ კი ბეთანიამ სძლია ყოველივეს და დაგვაახლოვა კიდეც, გაგვაცნო ერთმანეთს და ორთავეს გულში თბილი ნათელი მოგვფინა.

სერზე ვიყავით, უნდა მოვფარებოდით ბეთანიას, ერთი კიდევ გადავავლეთ თვალი და მისი სამუდამოთ მადლიერებმა უძღვენით გულწრფელი სალამი.

ნიკელი.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგ.	№ 9,	10.33	სალ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	სალ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.18	სალ.
თელავისაკენ	№ 4,	7 „	58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	სალ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	სალ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	სალ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	სალ.
თელავიდან	№ 3, . 7 „		58 „	სალ.

სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი „**გონოზანით**“. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია.

თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 отд. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвалская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარ სახლში.
(102—წ.)

გამოვიდა და იყიდება
კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში
(ქუთაისში)

რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово“ ნაწ. I, მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული, შედგენილი ს. ოცხელის მიერ. ფ. ყდით 2 აბაზი.

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა“) თანაგრძნობით შეხვდა.

პრაქტიკის მქონი მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „Новое Сслово“-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.

სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова“ имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово“ можетъ быть признано вполнѣ подходьщимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ“.

(თ.—225—19)

ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია
„განათლება“-ში
იყიდება უოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის კარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეჯველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ძეთ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალადა, მცირე მარილიანი, შავი „ოშეშინა“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ იწაფება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ კილანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.